

მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების
მიღების პროცესი სამოქალაქო
სამართალში

მოკლე შესავალი რელაციის მეთოდში
სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შემუშავებული
პრაქტიკული მაგალითებით

დოქტ. შტეფან შმიტი

დრეზდენის სამხარეო სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლე

ჰარალდ რიჰტერი

დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს მოსამართლე

წიგნი გამოცემულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოცემული დასკვნები და შეფასებები არ უნდა იქნეს განხილული, როგორც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მოსაზრება. ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საიტზე: www.giz.de/law-caucasus



giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH



ავტორები:

დოქტ. შტეფან შმიტი

დრეზდენის სამხარეო სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლე

ჰარალდ რიჰტერი

დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს მოსამართლე

მთარგმნელი:

ქეთევან ფხაკაძე LL.M.

საქართველოს ბანკის ფიზიკური პირების ოპერატორ-კონსულტანტი

რედაქტორები:

თორნიკე დარჯანია LL.M.

GIZ-ის იუსტიციისა და სამართლის რეფორმის პროგრამის სამართლის ექსპერტი

ხატია კიკალიშვილი, Dr. iur., LL.M.

გერმანიის ბუნდესთავის დეპუტატის ბ-ნ ფაისტის ბიუროს თანამშრომელი

გამოცემაზე პასუხისმგებელი: საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი
© გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2013.

ISBN 978-9941-9347-3-5

წინასიტყვაობა

მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობა სამართლებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნდამენტურ წინაპირობას წარმოადგენს. მართლმსაჯულების ეფექტურობა დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, სამართლიან და დროულ სამართალწარმოებაში ჰპოვებს თავის გამომხატულებას.

ცხოვრების თანამედროვე მოთხოვნები, სწრაფი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული გარემოს განვითარების ფონზე, მართლმსაჯულების სისტემას ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი სარჩელების წარდგენის ჩათვლით. აღნიშნული გამოწვევები საჭიროებენ სასამართლოში სამართალწარმოების თანამედროვე მეთოდებისა და სისტემების განვითარებას.

სამართალწარმოება რთული და კომპლექსური პროცედურების ერთობლიობაა და მისი სათანადოდ განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია იმ მიდგომებისა და მექანიზმების ცოდნა, რომელიც დამკვიდრებულია განვითარებულ საზოგადოებაში და ორიენტირებულია სწრაფ და ეფექტურ შედეგზე.

ამ პუბლიკაციის მიზანს წარმოადგენს სწორედ საქმის განხილვის უახლესი პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა, რომელიც მოსამართლეებს გაუადვილებს საქმიანობას და მისცემს შესაძლებლობას, უზრუნველყონ დროული და ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელება.

პუბლიკაცია განკუთვნილია არა მხოლოდ მოსამართლეების, არამედ პრაქტიკოსი იურისტებისა და, ზოგადად, იურიდიული წრეების წარმომადგენლებისათვის. პუბლიკაცია დაეხმარება მათ პოზიციებისა და მოსაზრებების სრულყოფილად ჩამოყალიბებასა და იმ საკითხებზე აქცენტების გაკეთებაში, რასაც სასამართლოში საქმის განხილვისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. აღნიშნული, თავის მხრივ, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სამართლებრივი მართლმეცნების ამაღლებაში, სამართლებრივი აზროვნების ჩამოყალიბებასა და საბოლოოდ მართლმსაჯულების სისტემის სრულყოფაში.

პუბლიკაცია თეორიულ ასპექტებთან ერთად ფართოდაა გაჯერებული პრაქტიკული კომპონენტებით, რაც იძლევა მისი უკეთ აღქმისა და გაანალიზების საშუალებას. მისი უმეტესი ნაწილი ეთმობა სწორედ პრაქტიკული კაზუსების მიმოხილვას, რითაც იგი მიმზიდველია პრაქტიკოსი იურისტებისათვის და დაეხმარება მათ ყოველდღიურ პროფესიულ საქმიანობაში.

აღნიშნული პუბლიკაციის მომზადება შესაძლებელი გახდა სასამართლოსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) თანამშრომ-

ლობის ფარგლებში და მინდა მადლობა გადავუხადო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამართლის პროგრამას, რომლის თანადგომითაც ხორციელდება მრავალი საინტერესო პროექტი სასამართლო სისტემის განვითარების მხარდასაჭერად. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდის GIZ-ის ექსპერტებს, მოსამართლეებს: ბატონ შტეფან შმიტსა და ჰარალდ რიჰტერს, რომელთა უშუალო ძალისხმევით მომზადდა წინამდებარე პუბლიკაცია.

ლაშა კალანდაძე

მოსამართლე

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
პირველი ნაწილი. შესავალი	7
წინამდებარე პრაქტიკული სახელმძღვანელოს დანიშნულება	7
მეორე ნაწილი. ზოგადი სახის შესავალი	8
1. რელაციის მეთოდის ეტაპები (სტადიები)	8
2. მოსარჩელის სტადია	8
ა) დასაბუთებულობა	8
ბ) განმარტებები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით; „ფაქტობრივი გარემოებების“ ცნება	10
გ) დასაბუთება და დასაბუთების ტვირთი	12
3. მოპასუხის სტადია	14
ა) შემოწმების მიზნები მოპასუხის სტადიისას:	14
ბ) „არსებობა“	16
გ) მოპასუხის შედავება	16
დ) შედავების სახეები	19
ე) მოთხოვნის შემწყვეტი ან განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლების შემოწმება	19
ვ) მაგალითი (კაზუსი)	21
4. მტკიცების სტადია	22
ა) შემოწმების მიზანი	22
ბ) სრული მტკიცებულება	22
გ) პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებები	23
დ) მტკიცების ტვირთი, ძირითადი და საპირისპირო მტკიცებულება	24
ე) მტკიცებულებათა შეფასება	28

მესამე ნაწილი. კაზუსების ამოხსნის სქემები	30
კაზუსი N1 (მთის ველოსიპედი)	30
კაზუსი N2 (ფეხსაცმელებით მოვაჭრე)	32
კაზუსი N 3 (საზიარო სახლი)	35
კაზუსი N 4 (ქირავნობის შეწყვეტა)	38
კაზუსი N 5 (კომპანიის გასხვისება)	41
კაზუსი N 6 (სახურავიდან ჩამოვარდნილი კრამიტი)	44
კაზუსი N 7 („ბუტიკის“ შექმნა)	48
კაზუსი N 8 (დამტვრეული ველოსიპედი)	52
კაზუსი N 9 (სესხის თანხის დაბრუნება)	54
კაზუსი N 10 (სადავო ბეჭედი)	58
კაზუსი N 11.1 (ჩაშლილი შვებულება)	62
კაზუსი N 11.2 (ვარიაცია)	64
კაზუსი N 12 (სადავო პიანინო)	68
კაზუსი N 13 (ოქროს საათი)	70

პირველი ნაწილი. შესავალი

წინამდებარე პრაქტიკული სახელმძღვანელოს დანიშნულება

მოსამართლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სამართლებრივი დავის სწორი და სწრაფი გადაწყვეტა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად იგი თავდაპირველად ეცდება მხარეები შეთანხმების, კერძოდ, მორიგების გზით მიიყვანოს დავის დასრულებამდე ან ასეთ შეთანხმებას მედიაციის გზითა და ფარგლებში მიაღწიოს.

ბუნებრივია, ასეთი უდავო და შეთანხმებაზე დაფუძნებული შედეგი სასურველია, მაგრამ არა ყოველთვის მიღწევადი და შესაძლებელი. თუ მორიგება ვერ ხერხდება, მოსამართლემ სადავო წარმოების გზით უნდა გადაწყვიტოს სადავო საკითხი. ამისათვის კი მას ესაჭიროება მეთოდი, რომელიც დაეხმარება მხარეთა სადავო ჩვენებებისა და ახსნა-განმარტებების დამუშავება-დახარისხებაში. აღნიშნული კი მოიცავს ისეთი საკითხების გააზრებასა და გადაწყვეტას, როგორცაა: რა არის საქმის აღწერილობა და რა „ფაბულა“ უნდა დაედოს საფუძვლად მოსამართლის მსჯელობასა და შეფასებას? რომელი ფაქტები და გარემოებებია სადავო და რომელი უდავო? საკმარისია თუ არა მოსარჩელის ახსნა-განმარტებები? თუ საკმარისია, უპირისპირებს თუ არა ამ განმარტებებს მოპასუხე რაიმე არსებით შესაგებელს, როგორც მატერიალური ისე პროცესუალური თვალსაზრისით? შეუძლია თუ არა მხარეს მის მიერ მითითებული და სადავოდ გამხდარი გარემოების/ფაქტის დამტკიცება? ვის ეკისრება მტკიცების ტვირთი?

სწორედ ამ სამუშაო პროცესში გამოიყენება რელაციის მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენება არ წარმოადგენს თვითმიზანს. აქ არ არის საუბარი სამართლებრივი დავის ლამაზად დამუშავებაზე, არამედ მოსამართლის იმ სამუშაო ინსტრუმენტებით აღჭურვაზე, რომელიც დაეხმარება მას და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესს მეტად სტრუქტურირებულს და სისტემაზე დაფუძნებულს გახდის.

წიგნის **მეორე ნაწილში** თავდაპირველად მოკლედ და ზოგადად არის წარმოდგენილი რელაციის მეთოდიკა თავისი ე.წ. ეტაპებით (სტადიებით), სადაც იხილავთ შესაბამის მოკლე საილუსტრაციო მაგალითებს.

მომდევნო **მესამე ნაწილში** კი განხილულია საქმეები, ე.წ. „კაბუსები“, ისეთი ფორმით, როგორც ეს მოსამართლის ყოველდღიურ პრაქტიკასა და საქმიანობაში გვხვდება. სწორედ აქ გაესმევა ხაზი რელაციის მეთოდის მთავარ დანიშნულებას, კერძოდ: რაც უფრო რთული („ჩახლართული“) და კომპლექსურია საქმე („კაბუსი“), მით უფრო მნიშვნელოვანია სტრუქტურა, მეთოდური მიდგომა, რათა მხედველობიდან არ გამოგვრჩეს არცერთი დეტალი.

მეორე ნაწილი. 80გადი სახის შესავალი

1. რელაციის მეთოდის ეტაპები (სტადიები)

შემოწმება ხორციელდება ხუთ საფეხურად („სტადიად“):

→ **1.1. საპროცესო მასალის დალაგება**

მხარეთა ახსნა-განმარტებების დახარისხება (მაგალითად, ქრონოლოგიის, სადავო და უდავო ფაქტებისა და გარემოებების მიხედვით)

→ **1.2. დასაშვებობა/წარმოებაში მიღება**

დასაშვებია თუ არა სარჩელი?

→ **1.3. მოსარჩელის სტადია**

გამართულია (დასაბუთებულია) თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა და მისი ახსნა-განმარტებები? (რას ითხოვს იგი? ასრულებენ თუ არა მის მიერ მოყვანილი ახსნა-განმარტებები ამ მოთხოვნის წინაპირობებს?)

→ **1.4. მოპასუხის სტადია**

რამდენად არსებითია მოპასუხის შესაგებელი, მისი ახსნა-განმარტებები? (მოთხოვნის დამაფუძნებელი ფაქტების უარყოფა, წარმოდგენილია პროცესუალური მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი თუ მატერიალური მოთხოვნის შემწყვეტი სახის შესაგებელი?)

→ **1.5. მტკიცების სტადია**

მტკიცდება თუ არა სადავო ფაქტი?

ქვემოთ წარმოდგენილი იქნება მოსარჩელის სტადიის (2.), მოპასუხის სტადიის (3.) და მტკიცების სტადიის (4.) დეტალური განხილვა.

2. მოსარჩელის სტადია

ა) დასაბუთებულობა

მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, იძლევა თუ არა მოსარჩელის მიერ თავის ახსნა-განმარტებებში მითითებული ფაქტები და გარემოებები იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ მას მართლაც აქვს მოთხოვნის (მოთხოვნების) დაყენების უფლება.

მოსარჩელის ახსნა-განმარტებები მაშინ არის გამართული (დასაბუთებული), თუ მასში დასახელებული ფაქტები და გარემოებები შესაბამის სამართლებრივ (სამოქალაქო კოდექსის) ნორმასთან ერთად ქმნის იმის საფუძველს, რომ სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება წარმოემვას მოსარჩელე პირს, ანუ დაფუძნდეს იგი მის პიროვნებასთან და მის კონკრეტულ საქმესთან

მიმართებით. საუბარია, როდესაც მითითებული ფაქტები შეიცავს მოთხოვნის წარმოშობისათვის ნორმით გათვალისწინებულ ყველა წინაპირობას.

ამრიგად, მოსამართლე „მოსარჩელის სტადიაზე“ ახორციელებს სარჩელის

გამართულობის (დასაბუთებულობის) შემოწმებას.

აღნიშნული ეხება მხოლოდ ფაქტებს (სამართლებრივი შეხედულებები ვერ იქნება „გამართული/დასაბუთებული“). ამასთან, შემოწმების პირველ ეტაპზე მოსამართლე ეყრდნობა ვარაუდს, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები მართალია.

მოსამართლემ გამართულობის შემოწმებისას უნდა განიხილოს და პასუხი გასცეს შემდეგ საკითხებს:

- რა უნდა მოსარჩელეს? რა არის მისი მოთხოვნა?
- საიდან (რომელი ნორმიდან) შეიძლება გამომდინარეობდეს მისი მოთხოვნა? (აქ მოსამართლე მოიძიებს მოთხოვნის უფლების განმსაზღვრელ ნორმას, ანუ მოთხოვნის საფუძველს)
- მოცემულია თუ არა მოსარჩელის მიერ თავის განმარტებებში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებს შორის (რომლებსაც მოსამართლე ამ შემოწმებისას ნამდვილად, ანუ სწორად მიიჩნევს) მოთხოვნის წარმომშობი წინაპირობები (ან წინაპირობა)?

მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, რომელიც დასახელებულ დასაბუთებულობის შემოწმებას უდევს საფუძვლად, შედგება ყველა არასადავო (მთავარი) – ფაქტებისა და გარემოებებისგან და მოსარჩელის სადაო (მაგრამ პირველ ეტაპზე მართებულ ანუ სწორ) მტკიცებებისგან.

იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები ვერ ექცევა სულ მცირე ერთი ნორმის (მოთხოვნის საფუძვლის) აბსტრაქტული დისპოზიციის ქვეშ, მისი სარჩელი გაუმართავია (დაუსაბუთებელია). **ასეთ შემთხვევებში მას მოპასუხე მხარის ყველანაირი რეაგირების (შესაგებლის) გარეშე უნდა ეთქვას უარი.**

მაგალითი:

„ა“ ითხოვს „ბ“-სგან 40 ლარს. იგი აცხადებს, რომ მან 2012 წლის 2 მარტს 16 წლის „ბ“-ს მხოლოდ სანახავად გადაუგზავნა წიგნი. გზავნილს თან ახლდა წერილი, სადაც ეწერა, რომ თუ „ბ“ არ მოინდომებდა წიგნის ყიდვას, მას იგი უკან უნდა გადაეგზავნა „ა“-სთვის. მოსარჩელის განცხადებით, „ბ“-მ წიგნი დაიტოვა, რის გამოც „ბ“-მ უნდა გადაუხადოს მას წიგნის ფასი 40 ლარის ოდენობით.

სარჩელი გაუმართავია შემდეგი ორი გარემოების გამო:

- სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან და სკ-ის 327-ე მუხლიდან გამომდინარე, სარჩელს აკლია მოსარჩელის საკმარისი მითითებები მხარეების წიგნის ყიდვა-გაყიდვის (ნასყიდობის) შეთანხმების შესახებ. ამ შემთხვევაში, „ბ“-ს დუმილი „ა“-ს მიერ ფასის მოთხოვნის გარეშე გადაგზავნილ წიგნზე ვერ ჩაითვლება „ბ“-ს მხრიდან თანხმობად ნასყიდობასთან დაკავშირებით.
- გარდა ამისა, „ა“ არაფერს ამბობს იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულების თაობაზე (რომელიც სამართლებრივად სარგებლიანი არ იყო „ბ“-სთვის) „ბ“-ს კანონიერმა წარმომადგენელმა განაცხადა თანხმობა (შდრ. სკ-ის ნ3-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ბ) განმარტებები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით; „ფაქტობრივი გარემოებების“ ცნება

ფაქტობრივი გარემოება (შეხედულების ან შეფასებისაგან განსხვავებით) არის ნებისმიერი გარეგანი ან შინაგანი მოვლენა, რომელიც ექვემდებარება გარკვევასა და გადამოწმებას. კერძოდ:

- **გარეგანი ფაქტობრივი გარემოებები:** ესენია აწმყოსა და წარსულში მიმდინარე მოვლენები/არსებული მდგომარეობა (მაგალითად, როგორიცაა: ნივთის თვისება (ხარისხი), უბედური შემთხვევის განვითარება, ნების შინაარსი)
- **შინაგანი ფაქტობრივი გარემოებები:** ესენია შინაგანი ცხოვრებისეული მოვლენები (მაგალითად, როგორიცაა: ცოდნა, შეცდომა, განზრახვა)
- **ნეგატიური ფაქტობრივი გარემოებები** (მაგალითად, ნივთის უკან დაბრუნების შეუძლებლობა)
- **ჭიპოთეტური ფაქტობრივი გარემოებები** (მათი განვითარება)

როგორც წესი, საკმარისია (და საჭიროც) სასარჩელო განაცხადში ისეთი ახ-ნა-განმარტებები, რომელიც სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას, შეამოწმოს, სახეზეა თუ არა შესაბამისი კანონით (სამართლის ნორმით) გათვალისწინებული წინაპირობები.

მოსარჩელემ (როგორც მოთხოვნის წარმომდგენმა მატერიალური გაგებით) უნდა მიუთითოს და დაასახელოს არსებითი ფაქტობრივი გარემოებები (= ანუ ფაქტები, რომლებიც ესადაგება კანონის, ნორმის დისპოზიციის ელემენტებს).

ნორმის დისპოზიციის (ფაქტობრივი) ელემენტების (როგორიცაა მაგალითად: განზრახვა, მზაკვრობა, უზნეო, კეთილსინდისიერი და ა.შ.) არსებობა-არარსებობის შესაფასებლად აუცილებელია სწორედ ისეთი ფაქტების მითითება, რომლებიც ქმნიან ასეთი შეფასების საფუძველს, ანუ, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ასეთი შეფასების განხორციელება.

სამართლებრივი განმარტებები ან იურიდიულ ტერმინთა გამოყენება, ძირითადად არ წარმოადგენს ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებას.

მაგალითები:

(1) „ა“ (მოსარჩელე) ითხოვს „ბ“-სგან „გაუფრთხილებლობით სხეულის დაზიანების“ შედეგად წარმოქმნილი ზიანის ანაზღაურებას 100.000 ლარის ოდენობით.

(2) „ა“ (მოსარჩელე) ითხოვს „ბ“-სგან ნივთის ფასის დაბრუნებას (50.000 ლარის ოდენობით) და საფუძვლად უთითებს, რომ იგი „მზაკვრულად“ მოტყუებულ იქნა ნივთის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

არცერთ ზემოთ მოყვანილ მაგალითში არ არის საკმარისი მითითებები დასახელებული. სამართლებრივი შეფასებების მაგიერ მოსარჩელემ უნდა მიუთითოს ისეთ ფაქტებზე, საიდანაც დგინდება, რომ სახეზე იყო „გაუფრთხილებლობა“ ან „მზაკვრობა“.

მაგალითად:

(1) „მოსარჩელე „ა“-მ დაზიანება მიიღო ავტო-ავარიისას, რადგანაც მოპასუხე „ბ“ თვალყურს არ ადევნებდა მის უკან არსებულ მოძრაობას, რის გამოც მოპასუხე უკნიდან დაეჯახა მას. დაჯახების შედეგად „ა“-მ მიიღო დაუქუილობა მკერდის არეში.“

მაგალითად:

(2) „მოპასუხემ მოსარჩელეს 50.000 ლარად მიყიდა მანქანა, რომელიც მისი განცხადებით არ იყო ნაავარიები. როგორც აღმოჩნდა, მას აღნიშნული მანქანა წინა დღეებში ნაყიდი ჰქონდა ავარიის შედეგად დაზიანებულ მდგომარეობაში მხოლოდ 2.000 ლარად და თავადვე ჰქონდა შელამაზებული და გადაღებილი.“

გამონაკლის წარმოადგენს ისეთ მარტივი და გავრცელებული სამართლებრივი ტერმინები (და მათი გამოყენება სასარჩელო განაცხადში), რომლებიც ორივე მხარისათვის ერთმნიშვნელოვანი და ნათელია.

მაგალითი:

მოსარჩელე „ა“ არის ბინის დამქირავებელი. დამქირავებელი „ბ“ მას მოუშლის ქირავნობის ხელშეკრულებას, ვინაიდან მან („ა“-მ) გაანადგურა ჩაშენებული სამზარეულო. „ა“-ს ძალიან უნდა ბინაში დარჩენა და თავს იცავს „ბ“-ს მიერ ხელშეკრულების მოშლისაგან. „ა“ თავის სასარჩელო განცხადებაში მიუთითებს, რომ იგი თბილისში „ქირაობს“ ბინას და რომ ამ ბინაში ჩაშენებული სამზარეულოს განადგურება მოხდა ბინაში შემოჭრილი ქურდის მიერ.

მოცემულ მაგალითში არ არის საჭირო სკ-ის 531-ე მუხლის გაგებით „ქირის“, „ქირავნობის“ დაკონკრეტება ფაქტების დონეზე. აქ აშკარაა, რომ ორივე მხარე საუბრობს მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის საცხოვრებელი ბინის დროებით და გარკვეული ფასის სანაცვლოდ გადაცემის თაობაზე.

სხვა შემთხვევებია, როდესაც სამართლებრივი ტერმინი არც ზემოხსენებულის მსგავსად მარტივია ან იგი მხარეების მხრიდან სხვადასხვაგვარად, ანუ არაერთმნიშვნელოვნად არის გამოყენებული.

მაგალითად:

მოსარჩელის განმარტებები:

„მოპასუხემ 2013 წლის 28 თებერვალს რესტორანში ყოფნისას დელიქტურად მომაცენა ზიანი“

ეს განაცხადი არ არის საკმარისი. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელის უნდა მიეთითებინა, მაგალითად შემდეგი:

„მოპასუხემ ყოველგვარი მიზეზის გარეშე თავში ჩამარტყა ბოთლი, რის შედეგადაც მივიღე ჭრილობითი დაზიანება.“

- თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ რიგ შემთხვევებში სამართლებრივი შეხედულების გაუღერებაში იდოს ნების გამოვლენა (მაგალითად, მოსარჩელე აცხადებს, რომ მის მიერ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება მზაკვრულად მოტყუების გამო ბათილია).

აქ მოსამართლემ უნდა მიუთითოს მხარეს, რომ მისი განმარტებები არ არის სრული და რომ მან უნდა მიუთითოს იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, საიდანაც გამომდინარეობს მეორე მხარის მზაკვრულობა (*ვინაიდან მხარის მოვალეობაა სასამართლოს მიაწოდოს ფაქტები და არა სამართლებრივი შეფასებები*). ცალკეული ვითარების სამართლებრივი შეფასება მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივა და ამოცანაა).

გ) დასაბუთება (სიტყვ.: არსებითად გამართვა) და დასაბუთების (სიტყვ.: არსებითად გამართვის) ტვირთი

დასაბუთების ტვირთი არის შეჯიბრებითობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინება და შედეგი. ამასთან, არ არის აუცილებელი დეტალებზე მითითება (მაგალითად, როგორცაა: დრო, განვითარება, კონკრეტული მოვლენები და აღწერილობები), თუ ეს დეტალები უმნიშვნელოა სამართლებრივი შედეგისთვის.

აუცილებელი განმარტებების მოცულობა დამოკიდებულია მოწინააღმდეგე მხარის შესაგებებლზე. იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარის შესაგებლით (განმარტებით, არგუმენტებით) „გაუფასურდა“, ანუ არასრულყოფილი (გაუგებარი) გახდა მოსარჩელის ახსნა-განმარტებები, აუცილებელია დამატებითი განმარტებები, ანუ შევსება.

მაგალითები:

(1) მოსარჩელე აღძრავს სარჩელს ნივთის (სამშენებლო დანადგარი) ფასის დარჩენილი ნაწილის მოთხოვნით (20.000 ლარი).

მოპასუხე თავის მხრივ აცხადებს: „მე არ ვაპირებ გადახდას, რადგან ამ დანადგარს ელექტროობის დეფექტი აქვს“.

შედეგი: აშკარაა, რომ მოპასუხემ იცის, თუ რომელ დანადგარზე ამ საქმეში საუბარი. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე ცხადია, რომ ზედმეტია იმის კვლევა და დაკონკრეტება, თუ რომელი დანადგარია ნასყიდობის საგანი.

(2) მოსარჩელე აღძრავს სარჩელს ნივთის (თებერვალში გაყიდული მანქანის) ფასის დარჩენილი ნაწილის მოთხოვნით.

მოპასუხე თავის მხრივ აცხადებს: „მე არ ვიცი, რომელ მანქანას გულისხმობს მოსარჩელე: 2013 წლის 16 თებერვალს გაყიდულ BMW-ს, თუ 2013 წლის 18 თებერვალს გაყიდულ Mitsubishi-ს“.

შედეგი: აქ მოსარჩელეს პირველი მაგალითისაგან განსხვავებით, (შესაძლოა მოსამართლის მითითებით) მოუწევს თავისი განმარტებების დაკონკრეტება. თუ ასეთი დაკონკრეტება არ მოხდება, სარჩელი არ დაკმაყოფილდება დაუსაბუთებულობის (არასაკმარისი მითითებების) გამო.

აბსტრაქტული დასაბუთების შემდეგ (იხ. ზემოთ დასაბუთების ტვირთი) თითოეულმა მხარემ უნდა მიუთითოს იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც წარმოადგენენ მისი მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობას (მოთხოვნის განმსაზღვრელი ნორმის მიხედვით). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად დასაბუთებისა და შემდგომ მტკიცების ტვირთი ერთნაირად (ერთი პრინციპით) ნაწილდება.

„მხარეს რისი დასაბუთებაც უწევს, უწევს იმის მტკიცებაც.“

თუ მხარე მოსამართლის შესაბამისი მითითების შემდეგაც არ დაასახელებს და დასაბუთებს მისი ახსნა-განმარტების გამართულობისათვის საჭირო ფაქტობრივ გარემოებას, მაშინ მისი მთლიანი განცხადება (სარჩელი თუ შესაგებელი) უარყოფილ იქნება ყველანაირი მტკიცებულებების შეგროვების გარეშე.

დასაბუთების ტვირთის შემსუბუქება შესაძლებელია, მაგალითად, შემდეგ შემთხვევებში:

■ კანონისმიერი პრეზუმფცია (ვარაუდი)

მაგალითად, სკ-ის 158-ე მუხლის პირველი ნაწილი (ნივთის მფლობელი ივარაუდება მის მესაკუთრედ)

სკ-ის 185-ე მუხლი (საჯარო რეესტრში რეგისტრირებული პირი ივარაუდება მესაკუთრედ)

ასეთ შემთხვევებში საკმარისია პრეზუმფციის წინაპირობებზე მითითება ფაქტობრივ (ფაქტების) დონეზე. ხოლო პრეზუმფციის შედეგების (ანუ ვარაუდის) უკუგდება მოწინააღმდეგე მხარეს ეკისრება.

■ მოჩვენებითობა (ფაქტობრივი ვარაუდი)

საკმარისია შესაბამის ტიპურ მოვლენათა განვითარების აღწერა, საიდანაც გამომდინარეობს აღნიშნული გამოცდილება. მოწინააღმდეგე მხარემ უნდა დაასაბუთოს საწინააღმდეგო (ანუ, მოვლენათა სხვაგვარი განვითარების გონივრული შესაძლებლობა).

3. მოპასუხის სტადია

ა) შემოწმების მიზნები მოპასუხის სტადიისას:

მას შემდეგ, რაც მოსარჩელის სტადიაზე დადგინდება, რომ მისი ახსნა-განმარტებები სრული და გამართულია, ანუ მოპასუხის სათანადო შეპასუხების გარეშე სარჩელი ექვემდებარება დაკმაყოფილებას, უკვე მოპასუხის სტადიაზე მოწმდება მეორე მხარის, ანუ მოპასუხის შესაგებელი, თუ რამდენად აბათილებს და არყვეს იგი (მოსარჩელის განმარტებების საფუძველზე შექმნილ) მოთხოვნის წარმოშობის ვარაუდს.

თუმცა, აქ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები არ არის ერთმნიშვნელოვანი და ცალსახა. კოდექსის 127-ე მუხლის თანახმად, სასამართლო უსმენს მხარეებს, კერძოდ, 127-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით: „მხარეები იძლევიან ახსნა-განმარტებებს მათთვის ცნობილი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესახებ“.

საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლი ამბობს, რომ სასამართლომ მხარის მიერ აღიარება შეუძლია მიიჩნიოს სათანადო და საკმარის მტკიცებულებად და მას დააყრდნოს თავისი გადაწყვეტილება.

132-ე და 133-ე მუხლები აწესრიგებენ აღიარების ფორმასა და მისი გაქარწყლების შესაძლებლობასა და პირობებს. კანონი არ შეიცავს ჩანაწერს იმასთან დაკავშირებით, რომ ერთი მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც არ ხდის სადავოდ მეორე მხარე, მიიჩნევა მართებულად და საფუძვლად დაედება სასამართლო გადაწყვეტილებას. არც შედავების სახეობაზეა კანონში რაიმე გათვალისწინებული.

თუმცა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოქმედი ნორმებიდან ვლინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ (დასაბუთებულ) მოთხოვნას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი აგებს სამართლებრივ დავას.

აღნიშნული გამომდინარეობს სსკ-ის 230-ე მუხლიდან, რომლის თანახმადაც, მოპასუხის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო (ბუნებრივია, მოსარჩელის განცხადების საფუძველზე) გამოსცემს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. ასეთი გადაწყვეტილება გამოიცემა მაშინაც, როდესაც მოპასუხე გამოცხადდება სასამართლოში, მაგრამ უარს ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე (სსკ-ის 232-ე მუხლი). სსკ-ის 230-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტი ორივე შემთხვევისათვის პირდაპირ აწესებს, რომ ასეთ დროს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დადგენილად მიიჩნევა. აღნიშნულს შეესაბამება ასევე სსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, მოპასუხემ თავისი პოზიცია და აზრი უნდა გამოთქვას სარჩელში მითითებულ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. აქ ასევე ნათქვამია: „თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია, მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით. „თუ მოპასუხე არ ასრულებს აღნიშნულ მოვალეობას, სსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ქვეპუნქტი ითვალისწინებს მოპასუხის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას.

მეორე მხრივ კი, სსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტით ნათქვამია, რომ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება ასევე თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით. ამ გზით გარემოება დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ერთი მხარე მიუთითებს მასზე და მეორე მხარე არ ეწინააღმდეგება ამ მითითებას.

ზემოთ წარმოდგენილი ნორმებიდან დგინდება, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს მოპასუხის მოვალეობას, უპასუხოს მოსარჩელის მიერ მითითებულ და საქმისათვის (მოთხოვნის წარმოშობა-არწარმოშობისათვის) რელევანტურ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებს (მხოლოდ) მოსარჩელის ახსნა-განმარტებებისა და მითითებების საფუძველზე (აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ასევე თომას ჰერმანის კონსპექტი, გვ. 7).

ზემოხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ მოპასუხე მოსარჩელეს დავის გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე უნდა შეედავოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები და შეფასებები) მიიჩნევა დადგენილად.

ეს ნიშნავს, რომ მოპასუხის შესაგებელი უნდა გადმოსცემდეს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი გამართული/დასაბუთებული სასარჩელო განცხადებისა და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისაგან განსხვავებულ სურათს იმისათვის, რომ იგი მიჩნეულ იქნას არსებითად!

შესაბამისად, მოპასუხის განსხვავებული განმარტებები უნდა შეფასდეს სარჩელთან და მასში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით. სწორედ აქედან გამომდინარე, მოპასუხის სტადიაზე განსახორციელებელი შემოწმება არ

მოიცავს შესაგებლის (თავის თავში, განყენებულად) გამართულობას და დასაბუთებულობას (მოსარჩელის სტადიის მსგავსად), არამედ მიმართულია შესაგებლის არსებითობის გამოკვლევაზე (აღნიშნული მოიზრებს მოპასუხის მითითებებისა და განმარტებების არსებითობას სასარჩელო განცხადებაში მითითებული გარემოებების მიმართ).

ბ) „არსებითობა“

მოპასუხის შესაგებელი (პასუხი), ზემოთ („ა“ ქვეპუნქტში) წარმოდგენილი მოსაზრებების გათვალისწინებით, შეიძლება ორი სახით იყოს არსებითი:

ა) ერთი – **შედაგების კუთხით** (ანუ, როდესაც შესაგებელში ხდება სარჩელის გარემოებებზე შედაგება, ე.წ. მარტივი შედაგება)

ბ) და მეორე – **საწინააღმდეგო გარემოებებისა და მოსარჩელის მოთხოვნის წარმოშობის შემაფერხებელ სამართლებრივ ნორმებზე მითითების კუთხით** (ე.წ. კვალიფიციური შედაგება).

მოპასუხის შესაგებელი შეიძლება შეიცავდეს თითოეულ ელემენტს ალტერნატიულად ან ორივეს (ანუ, (a)-საც და (b)-საც) კუმულატიურად, როდესაც მოპასუხე ედაგება მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს და იმავდროულად საწინააღმდეგო ფაქტებსა და ნორმებზეც მიუთითებს.

გ) მოპასუხის შედაგება

ა) **შედაგება** ნიშნავს მოსარჩელის ახსნა-განმარტების (მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების) უარყოფას. ამასთან, საუბარია ისეთ განმარტებებსა და გარემოებებზე, რომლებიც სასამართლოს ამრით მნიშვნელოვანია სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულობისათვის და საბოლოო გადაწყვეტილებისთვის. მაგ: მოპასუხის შედაგებაში უარყოფილია მოსარჩელის მიერ მითითებული ისეთი ფაქტები, როგორცაა თარიღი, ადგილი, მოვლენათა განვითარება სრულად ან მისი დეტალები. მაგალითად, შეთანხმების ან ნივთის გადაცემის პროცესი და ა.შ.

ამასთან, მოპასუხის შედაგება შეიძლება იყოს დასაშვები ან დაუშვებელი. დაუშვებელია შედაგება, როდესაც იგი აბსტრაქტული ან ზოგადია (დაუზუსტებელი), ანუ, როდესაც მასში არაფერია ნათქვამი ცალკეულ ფაქტებსა და მოვლენებზე. ასეთ შემთხვევებში სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს მოპასუხის მიერ განხორციელებულ შედაგებას.

მაგალითად, თუ მოსარჩელე აცხადებს, რომ იგი 2013 წლის 3 აპრილს თბილისში მოპასუხესთან შეთანხმდა კონკრეტული მანქანის კონკრეტულ ფასად ყიდვასთან დაკავშირებით, მოპასუხე აღნიშნულს (დასაშვებად) სადავოდ ვერ გახდის მხოლოდ შემდეგი მითითებით: „ვედავები“.

აქ მოპასუხეს უნდა მოეთხოვოს მისი შედეგების დაკონკრეტება (დაზუსტება) იმასთან დაკავშირებით, თუ რას ხდის სადავოს: ზოგადად მოსარჩელესთან რამეზე შეთანხმების ფაქტს, ნასყიდობაზე შეთანხმების ფაქტს, შეთანხმების თარიღს, ადგილს, პირობებს და ა.შ. მხოლოდ შესაბამისი დაზუსტების შემდეგ ჩაითვლება მისი შედეგება დასაშვებად.

ზოგადი და აბსტრაქტული შედეგების დაუშვებლობა გამომდინარეობს შემდეგი მოსაზრებებიდან:

თუ დაშვებული იქნებოდა ასეთი ზოგადი და აბსტრაქტული ხასიათის შედეგება (როგორც იგი ზემოთ მოცემულ მაგალითშია წარმოდგენილი), მოსარჩელეს არ ექნებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას არ ეთანხმება მოწინააღმდეგე მხარე და შესაბამისად, რისი მტკიცება მოუწევს მას მისივე მითითებული გარემოებებიდან (მაგალითად, შეთანხმების დადების ფაქტის, შეთანხმების თარიღის, ნასყიდობის საგნის და ა.შ.). აღნიშნული კი მას, საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, არასათანადოდ ჩააყენებდა არახელსაყრელ მდგომარეობაში, ვინაიდან ამით ხელი შეეშლებოდა მის მიერ სსკ-ის 102-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების, კერძოდ, მტკიცების ტვირთის (რომელიც პროცესში მომეტებულად მოსარჩელეს აკისრია) განხორციელებას.

იმის დადგენა და გამოვლენა, თუ რომელი გარემოებაა სადავო, ანუ რომელი ფაქტის დამტკიცება უწევს მოსარჩელეს, შესაძლებელი ხდება მხოლოდ მოპასუხის მიერ თავისი პასუხის (შედეგების) სათანადოდ დაზუსტების/დაკონკრეტების შემდეგ.

ამრიგად, დაუშვებელია მხოლოდ ზოგადი და აბსტრაქტული შედეგება და იგი განხილულ უნდა იქნას, როგორც უპასუხოება, ანუ დასტური (აღიარება).

ბბ) მაშადასამე, რა მოთხოვნები უნდა წაეყენოს სათანადოდ დაკონკრეტებულ და არსებით შედეგებს? ამ შეკითხვაზე არ არსებობს ერთი და ზოგადი პასუხი, არამედ იგი გამომდინარეობს ცალკეული, კონკრეტული შემთხვევიდან და სიტუაციიდან.

- პასუხი ზემოთ აღნიშნულ კითხვაზე დამოკიდებულია მოსარჩელის განცხადებაზე. თუ მოსარჩელის ახსნა-განმარტებები შედარებით აბსტრაქტულია (მაგალითად, მოსარჩელე აცხადებს: „მე მოპასუხე მხარესთან დავდე ნასყიდობის ხელშეკრულება მანქანაზე“), მაშინ მოპასუხის მხრიდან საკმარისი და სათანადო იქნება აბსტრაქციის იმავე ხარისხის შედეგება (მაგალითად: „სადავოდ ვხდი ჩემთან მანქანაზე ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას“). ამის შემდეგ ისევ მოსარჩელის ხელშია მისი აქამდე აბსტრაქტული მოხსენების დაკონკრეტება (ზემოხსენებულ მაგალითში) ადგილის, დროისა და სხვა დეტალებისა და გარემოებების დამატებით. ასეთი დაკონკრეტება მოსარჩელის მხრიდან უკვე მოპასუხისგანაც შესაბამის დაკონკრეტებას მოითხოვს და იმის მითითებას, თუ

რომელ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას ედავება იგი. ამის შემდეგ კი მოსარჩელეს შეუძლია თავისი განმარტებების სადავოდ გამხდარი ნაწილის დამტკიცება.

- მოსარჩელეს ასევე შეუძლია მიუთითოს ისეთ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც მოპასუხეს არანაირი შეხედულება (შეხება, ინფორმაცია) არ გააჩნია. მაგალითად, მოსარჩელე მოპასუხის მიმართ მანქანის უკან გამოთხოვის და მისი საკუთრების დასასაბუთებლად უთითებს, რომ მან ეს მანქანა ორი წლის წინ იყიდა ვინმე „X“-სგან. მოპასუხეს შეუძლია მოსარჩელის ახსნა-განმარტებას მხოლოდ ზოგადი სახით, მაშასადამე, აბსტრაქტულად შეედავოს, რადგან მას არ აქვს საკუთარი წარმოდგენა მოსარჩელის მიერ მოხსენებულ მსუბუქი ავტომობილის შეძენის, მასში გადახდილი თანხის შესახებ. ასე რომ, მოსარჩელეს მოუწევს მთლიანი ფაქტობრივი გარემოებების მტკიცებულებების წარმოდგენა.

თუ მსგავს აქტს ნამდვილად ჰქონდა ადგილი მოსარჩელის მიერ ნახსენებ ნასყიდობის აქტთან დაკავშირებით, მაშინ მოპასუხეს ამაზე საკუთარი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს. პირველი კაზუსისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში შესაძლებელია სასამართლომ მოპასუხისგან მოითხოვოს, რომ ის სასარჩელო მოთხოვნას არსებითად შეედავოს და არა მხოლოდ აბსტრაქტულად, ისე, როგორც ამას პირველი კაზუსის შემთხვევაში ექნებოდა ადგილი. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხეს, მართალია, არ აქვს საკუთარი წარმოდგენა მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებზე, მაგრამ შეუძლია ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოიპოვოს იგი, ბუნებრივია, შეედავება უნდა იყოს სათანადოდ არსებითი და არა ზოგადი და აბსტრაქტული ხასიათის მატარებელი.

გგ) ამრიგად, მოთხოვნის წინაპირობების სადავოდ გახდომა არსებითია, თუ შეედავება:

მოსარჩელის მიერ მითითებულ მოთხოვნის წარმომშობ მთავარ გარემოებებს
ეხება და

ნამდვილია პროცესუალური კუთხით

ამას გარდა:

- შეედავების არსებითობა ცალკეულ შემთხვევაში დამოკიდებულია მოსარჩელის ახსნა-განმარტებებზე.
- დაუშვებელია ზოგადი და აბსტრაქტული შეედავება, გარდა ისეთი ფაქტებისა, რომლის შესახებაც მოპასუხეს არ გააჩნია საკუთარი შეხედულებები ან როდესაც მას ვერ მოეთხოვება ასეთი შეხედულებების შექმნა და ჩამოყალიბება.

აქედან გამომდინარე, შევამების სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ:

მოპასუხის შესაგებელი უნდა იყოს იმდენად კონკრეტული, რამდენადაც კონკრეტულია მოსარჩელის მოხსენება. ეს ნიშნავს, რომ მოპასუხემ თავისი შესაგებელი უნდა მოარგოს და შეუსაბამოს მოსარჩელის მოხსენების აბსტრაქციის ხარისხსა და დონეს.

დ) შედავების სახეები

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ მოპასუხის შესაგებლის (შედავების) ოთხი სახე:

- (1) **ზოგადი სახის შედავება**, რომელიც დაუშვებელია (იხ. ზემოთ)
- (2) **კონკრეტული სახის შედავება**, რომელიც მიმართულია მოსარჩელის მიერ მითითებულ ცალკეულ გარემოებაზე და ყოველგვარი დამატებითი მითითებისა თუ გავრცობის გარეშე უარყოფს მათ (მაგალითად: „მე არ მიმიცია მოსარჩელისთვის პირობა, რომ ვიყიდდი მის მანქანას...“)
- (3) **კვალიფიციური შედავება**: მოპასუხე მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვლენათა განვითარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოს ხდის მოსარჩელის მოხსენებას (მაგალითად, „მე მოსარჩელესთან ჩვენი მეგობრული ურთიერთობიდან გამომდინარე შევთანხმდი, რომ სამი დღით უსასყიდლოდ ვისარგებლებდი მისი მანქანით და შემდეგ ისევ დავუბრუნებდი მას...“).
- (4) **კონკლუდენტური შედავება**: მოპასუხე სულ სხვაგვარად ასახავს მოვლენათა განვითარებას, ვიდრე მოსარჩელე და მისი მონათხრობის განსხვავებულობიდან გამომდინარეობს, რომ იგი ედავება მოსარჩელის განმარტებებს (მაგალითად: „მე ამ დღეს ჩოგბურთის სათამაშოდ ვიყავი და თამაშისას მოსარჩელესთან ვსაუბრობდი ზოგადად მანქანების ფასებზე. საუბრისას ორივე მივედით იმ დასკვნამდე, რომ მანქანების ფასებმა მოიმატა და ამ მომენტისათვის არც კი ღირს ავტომობილის ყიდვა. სხვა რაიმე საკითხზე მე მოსარჩელესთან ამ დღეს არ მისაუბრია...“).

ე) მოთხოვნის შემწყვეტი ან განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლების შემოწმება

მოთხოვნის შემწყვეტი ან განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლების (გამომრიცხავი ნორმების) შემოწმება მიმდინარეობს შემდეგ ეტაპებად:

ა) მოპასუხის მიერ ასეთი შესაგებლის განხორციელების შემთხვევაში **უპირველესად უნდა მოიძიოთ მატერიალურ-სამართლებრივი არსებითი ნორმა**, რომელიც შესაძლოა უპირისპირდებოდეს მოსარჩელის (სამართლებრივ) მოთხოვნის უფლებას; აღნიშნული სამართლებრივი ნორმა, ისევე, როგორც მოსარჩელის სტადიაზე მოსაძიებელი მოთხოვნის საფუძველი, უნდა გამომდინარეობდეს კანონიდან (მა-

გალითად, ვალდებულების შესრულების შესაგებელი სკ-ის 427-ე ან 434-ე მუხლის საფუძველზე, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა სკ-ის 442-ე მუხლის საფუძველზე, პატიების შესაგებელი სკ-ის 448-ე მუხლის საფუძველზე, კონფუზიის შესაგებელი სკ-ის 452-ე მუხლის საფუძველზე, ხანდაზმულობის შესაგებელი სკ-ის 144-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტის საფუძველზე).

ბბ) შემდეგ ეტაპზე მიმდინარეობს მოპასუხის ახსნა-განმარტებების შემოწმება ზუსტად ისე, როგორც მოსარჩელის განმარტებების შემოწმება ხდება მოსარჩელის სტადიაზე. კერძოდ, მოპასუხის შესაგებელი მოწმდება ზემოხსენებულ საპირისპირო ნორმასთან მიმართებით. ამრიგად, ამ ეტაპზე **მოპასუხის განმარტებები უნდა ასაბუთებდეს ამ საპირისპირო ნორმის დისპოზიციის არსებობას და ამ კუთხით უნდა იყოს გამართული.**

გგ) მესამე ეტაპზე უნდა შემოწმდეს უკვე **მოსარჩელის პასუხი, რამდენად სათანადოდ (საკმარისად) ედავება იგი საპირისპირო ნორმის შედეგის დამფუძნებელ გარემოებებს** (შედავებასთან დაკავშირებით იხილეთ ზემოთ); ამ კუთხით უკვე საუბარია მოსარჩელის ახსნა-განმარტებების არსებობის შემოწმებაზე საპირისპირო ნორმასთან მიმართებით.

ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობების შედეგად შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- იმ შემთხვევაში, თუ **მოპასუხე** სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის მიერ მითითებულ (არსებით) გარემოებებზე შედავებას საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთების გარეშე, მაშინ ამ გარემოებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უკვე მტკიცების სტადიაზე მიიღება იმისდა მიხედვით, (მტკიცების ტვირთის განაწილების გათვალისწინებით) დამტკიცდება თუ არა ეს სადავო გარემოებები;
- თუ მოპასუხე ვერ ახერხებს **საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთებას** და ვერც მოსარჩელის მიერ მითითებული და მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების სათანადო შედავებას, სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის სასარგებლოდ დააკმაყოფილოს სარჩელი;
- თუ მოპასუხე **სათანადოდ ახერხებს სამართლებრივი შესაგებლის დასაბუთებას** (მაგალითად, მოსარჩელის მოთხოვნის შესრულება სკ-ის 427-ე მუხლის თანახმად) და თუ მოსარჩელე არ ხდის სადავოს მის შესაგებელს, მაშინ სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ უარი უნდა ეთქვას სარჩელს საპირისპირო (მოთხოვნის გამომრიცხავი) ნორმის არსებობის გამო;
- თუ მოპასუხე **სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის არსებითი გარემოებების შედავებას** და ასევე **საპირისპირო ნორმის წინაპირობების საკმარისად დასაბუ-**

თებას, მაშინ მტკიცების სტადიაზე უნდა გაირკვეს, მტკიცდება თუ არა სადავო გარემოებები (მტკიცების ტვირთის გადანაწილების შესაბამისად).

დღ) შემდეგ ეტაპზე უნდა შემოწმდეს, ახერხებს თუ არა მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების იმგვარ დასაბუთებას, რომელიც ასევე აქარწყლებს მოპასუხის მიერ დასაბუთებულ საპირისპირო მითითებებს (ნორმებს), (მაგალითად, მოპასუხე უთითებს მოთხოვნის ხანდაზმულობაზე სკ-ის 144-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით; მოსარჩელე კი სკ-ის 146-ე მუხლზე მითითებით აცხადებს, რომ მას მოპასუხესთან დადებული ჰქონდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ხანდაზმულობის შესაგებელი არ განხორციელდებოდა შემდეგი ორი წლის განმავლობაში, რასაც თავის მხრივ ედავება მოპასუხე და ასე გრძელდება მტკიცების სტადიამდე...)

პრინციპში ასევე შესაძლებელია, რომ მოპასუხემ თავის მხრივ კვლავ წამოაყენოს **შესაგებელი შესაბამის საპირისპირო სამართლებრივ ნორმებზე** დასაბუთებით და ა.შ. (აქ საუბარია ღია, „დაუსრულებელ“ პროცესზე).

გ) მაგალითი (კაზუსი):

მოსარჩელე მოპასუხისაგან ითხოვს სამუშაოს ანაზღაურების დარჩენილ ნაწილს ნარდობის ხელშეკრულებიდან, რომელიც მისაღები აქვს სახლის აშენებისთვის. ამისათვის მოსარჩელე მიუთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც სათანადო და საკმარისია მოთხოვნის წარმოშობისთვის და რომლებსაც არც მოპასუხე ხდის სადავოდ.

მოპასუხე საპირისპიროდ აცხადებს, რომ მოსარჩელემ სახლი არსებითი ნაკლოვანებებით ააშენა, რის გამოც მას აღარ ეკუთვნოდა შეთანხმებული ანაზღაურების დარჩენილი ნაწილი. ამისათვის მოპასუხე უთითებს ნაკლოვანებების დამადასტურებელ გარემოებებსა და ასევე მის მიერ დროულად, თუმცა, უშედეგოდ განხორციელებულ მოწოდებაზე მოსარჩელის მიმართ ნაკლის აღმოფხვრის მოთხოვნით. არც ეს განმარტებები ხდება სადავო მოსარჩელის მხრიდან.

მოსარჩელე აცხადებს, რომ მოპასუხე ვეღარ მიუთითებდა ნაკლზე, ვინაიდან ნაკლის აღმოფხვრის მოთხოვნა (ანუ მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი ეს შესაგებელი) უკვე ხანდაზმულია. ესეც არ ხდება სადავო მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხის) მხრიდან.

მოპასუხე პასუხობს, რომ მან მოსარჩელესთან დადო შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის ორი წლით გაგრძელებას. ამ ვადის ფარგლებში კი მოსარჩელეს არ უნდა განეხორციელებინა ხანდაზმულობის შესაგებელი. მოსარჩელე არ უარყოფს ასეთი შეთანხმების ფაქტს.

იგი განმარტავს, რომ ეს შეთანხმება მოპასუხის მხრიდან დაიდო მოტყუებით, რომ იგი მოტყუვდა და ამის გამო საცილოდ ხდის მას. მოპასუხე არ ხდის სადავოდ მოტყუების ფაქტს, თუმცა, აცხადებს, რომ შეცილება ვეღარ განხორციელდება მისი ვადის გასვლის გამო, რასაც თავის მხრივ არ ედავება მოსარჩელე.

აქვს თუ არა მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება?

მოთხოვნა გაწეული სამუშაოს დარჩენილი ნაწილის ანაზღაურების შესახებ შესაძლოა გამომდინარეობდეს სკ-ის 629-ე და 630-ე მუხლებიდან:

1. საპირისპირო ნორმა: ნაკლის შესაგებელი სკ-ის 645-ის მიხედვით.
2. მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი: ნაკლის გამოსწორების მოთხოვნის ხანდაზმულობა სკ-ის 655-ე მუხლის მიხედვით.
3. საპირისპირო ნორმა: შეთანხმება კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობის გაგრძელების თაობაზე.
4. მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი: შეცილება მოტყუების გამო სკ-ის 81-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით.
5. საპირისპირო ნორმა: შეცილების ვადა გასულია სკ-ის 84-ე მუხლის თანახმად.

შედეგი:

მოსარჩელეს აქვს უფლება, მოითხოვოს ნარდობის ხელშეკრულებით შეთანხმებული ანაზღაურების დარჩენილი ნაწილი; მოპასუხეს ყველანაირი მტკიცებულებების შეგროვების გარეშე უნდა დაეკისროს შესაბამისი ვალდებულება!

4. მტკიცების სტადია

ა) შემოწმების მიზანი

მტკიცების სტადიის შემოწმების მიზანია იმის დადგენა, დამტკიცებულია თუ არა მტკიცებასავალდებულო გარემოებები.

ბ) სრული მტკიცებულება

სამოქალაქო პროცესში მხარეებმა, როგორც წესი, სრულად უნდა დაამტკიცონ მათთვის ხელსაყრელი (ანუ არსებითი) და სადავო გარემოებები (გამონაკლისი: სსკ-ის 106-ე მუხლი: ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს და ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, იგივე მხარეების მონაწილეობით)

სადავო ფაქტობრივი გარემოება დამტკიცებულად ითვლება მაშინ, როდესაც სასამართლო დარწმუნებულია მის მართებულებაში (სიმართლეში) (შდრ: სსკ-ის

105-ე მუხლი: „სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, (...) რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ“).

გ) პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებები (ერთმანეთისაგან განსხვავდება მტკიცების საკითხიდან გამომდინარე)

აა) პირდაპირი მტკიცებულება

მტკიცებულებების შეგროვება მიმდინარეობს უშუალოდ მთავარ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, რომლებიც თავად მოთხოვნის საფუძვლის ან შესაგებლის წინაპირობას წარმოადგენენ.

ბბ) არაპირდაპირი/ირიბი მტკიცებულება

(1) (ზოგადი) მიმანიშნებელი მტკიცებულება

- მტკიცებულებების წარმოდგენა მიმდინარეობს (მხოლოდ) არაპირდაპირ ისეთ გვერდით გარემოებებზე, რომლებიც იძლევა მთავარ სადავო გარემოებებზე შესაბამისი დასკვნების (მათ სიმართლესთან დაკავშირებით) გაკეთების შესაძლებლობას.

მაგალითი:

მყიდველი აცხადებს, რომ გამყიდველმა მას შეგნებულად დაუმალა ის ფაქტი, რომ ავტომობილი იყო ნაავარიევი. გამყიდველი კი აცხადებს, რომ არაფერი იცის ავარიის შესახებ. შესაძლო მინიშნება მანქანის მდგომარეობასთან (ნავარეობასთან) დაკავშირებით იქნებოდა მაგალითად ის ფაქტი, რომ გამყიდველს გაყიდვამდე მანქანა შეუსაბამოდ დაბალ ფასად ჰქონდა ნაყიდი.

- სადავო ძირითად გარემოებასთან დაკავშირებული მიმანიშნებელი მტკიცებულება გამოსადეგია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მინიშნება „ლოგიკურად გამოსადეგია“ და უდავო ან დამტკიცებელია.

(2) აშკარა მტკიცებულება (პირველი შთაბეჭდილების მტკიცებულება, როგორც მიმანიშნებელი მტკიცებულების განსაკუთრებული ფორმა)

- აშკარა მტკიცებულება (პირველი შთაბეჭდილების მტკიცებულება) წარმოადგენს და განეკუთვნება „გამოყენებით ცხოვრებისეულ გამოცდილებას“, კერძოდ: არსებობს მოვლენები და მოვლენათა განვითარება, რომლებიც იმდენად დამახასიათებელი (ტიპური) და ხშირია, რომ შესაძლებელი და დასაშვებია პირველი შთაბეჭდილებით (prima facie) შესაბამისი დასკვნების გამოტანა მიზეზთან ან შედეგთან დაკავშირებით.

- პროცესში პირველი შთაბეჭდილება აფუძნებს და ქმნის ფაქტობრივ ვარაუდს (= მტკიცების ტვირთის შემსუბუქება). მას, ვის წინააღმდეგაც მეტყველებს პირველი შთაბეჭდილება, არ ეკისრება ვალდებულება საწინააღმდეგოს მტკიცების, როგორც ეს მტკიცების ტვირთის შებრუნების შემთხვევაშია, მაგრამ იგი ვალდებულია დაასაბუთოს და დაამტკიცოს მოვლენათა სხვაგვარი (არატიპიური) განვითარების გონივრული შესაძლებლობა (ფაქტობრივი ვარაუდის ე.წ. „შერყევა“). მას შემდეგ, რაც შეირყევა პირველი შთაბეჭდილების მტკიცებულება, ისევ გრძელდება კანონისმიერი მტკიცების ტვირთის გამოყენება.

(3) უფრო კონკრეტულად: აშკარა მტკიცებულება ზიანის ანაზღაურების პროცესში (გამომწვევი მიზეზი და ბრალეულობა)

- საგზაო მოძრაობისას პირველი შთაბეჭდილება, ანუ prima facie არის ავარიის გამომწვევი მიზეზი:

- სატის მართვის შეუძლებლობა გამომწვეული ალკოჰოლის მიღებით,
- თავის დაზიანებების შემთხვევაში – მგზავრობა დამცავი ჩაფხუტის გარეშე

- პირველი შთაბეჭდილების, ანუ Prima facie-ს მიხედვით, ბრალეულად მოქმედებს ის, ვინც:

- კარგი ხილვადობის და კარგი, გამართული გზის მიუხედავად, გადავა გზის სავალი ნაწილიდან,
- დაეჯახება წინა მანქანას.

(4) უფრო კონკრეტულად: აშკარა მტკიცებულება სახელშეკრულებო სამართალში

- ხელშეკრულების მოწმობა პირველი შთაბეჭდილებით, ანუ prima facie სწორად და სრულად გადმოსცემს შეთანხმების შინაარსს. ის, ვინც მიუთითებს დამატებითი ზეპირი შეთანხმების არსებობას, სულ მცირე, ლოგიკურად უნდა ასაბუთებდეს, თუ რატომ არ მოხდა აღნიშნული შეთანხმების ასახვა ხელშეკრულების დოკუმენტში.

დ) მტკიცების ტვირთი, ძირითადი და საპირისპირო მტკიცებულება

აა) ძირითადი (მთავარი) მტკიცებულება

მხარე, რომელსაც ეკისრება მტკიცების ტვირთი, ვალდებულია წარმოადგინოს ძირითადი მტკიცებულება. ძირითადი მტკიცებულება სათანადოა (წარმატებულია) იმ შემთხვევაში, თუ იგი ახერხებს სასამართლოს დარწმუნებას.

ძირითადი მტკიცებულების განსაკუთრებული სახეა საპირისპირო მტკიცებულება, რომლითაც უნდა დამტკიცდეს კანონისმიერი პრეზუმფციის საწინააღმდეგო გარემოება.

ბბ) საპირისპირო მტკიცებულება

საპირისპირო მტკიცებულებას წარმოადგენს მხარე, რომელსაც არ ეკისრება მტკიცების ტვირთი. იგი სათანადოა (წარმატებულია) იმ შემთხვევაში, თუ „წარმოშობს ეჭვებს, ანუ ხელს შეუშლის სასამართლოს დარწმუნებას (მოწინააღმდეგე მხარეს არ აქვს რაიმეს დამტკიცების ვალდებულება!).“

გგ) მტკიცებულების წარმოდგენის ტვირთი, ფაქტობრივი გარემოებების დადგენის ტვირთი

მტკიცების ტვირთის ფარგლებში ერთმანეთისაგან შეიძლება განვასხვაოთ მტკიცებულების წარმოდგენის ტვირთი და ფაქტობრივი გარემოებების დადგენის ტვირთი.

- (1) მტკიცებულების წარმოდგენის ტვირთი (მტკიცების ტვირთი ფართო გაგებით) მიგვითითებს, თუ რომელმა მხარემ უნდა იშუამდგომლოს მტკიცებულებებთან დაკავშირებით და მოიპოვოს კიდევ შესაბამისი მტკიცებულებები.
- (2) ფაქტობრივი გარემოებების დადგენის ტვირთი კი (მტკიცების ტვირთი ვიწრო გაგებით) პასუხობს კითხვას, თუ ვის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ მეტყველებს საქმის აღწერილობის (ანუ, ფაქტობრივი გარემოებების, ფაბულის) დადგენის შეუძლებლობა (ე.წ. non-liquet).

➔ **ძირითადი წესი: თითოეული მხარე ვალდებულია დაამტკიცოს მისთვის ხელსაყრელი სამართლის ნორმის (პოზიტიური თუ ნეგატიური) წინაპირობები (დისპოზიცია).**

ამრიგად, მტკიცების ტვირთის წესები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც საერთოდ არ მომხდარა საქმისათვის (გადაწყვეტილებისთვის) არსებით გარემოებაზე მტკიცებულების წარმოდგენა ან როდესაც უშედეგოდ (არასაკმარისად დამაჯერებლად) დასრულდა მტკიცებულებების შეფასება.

დდ) მტკიცების ტვირთის მთავარი პრინციპი:

ის, ვინც ახორციელებს რომელიმე უფლებას, უნდა დაამტკიცოს ამ უფლების დამფუძნებელი ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო ის, ვინც თავს იცავს უფლების განხორციელებისგან, ანუ ეწინააღმდეგება ამ უფლებას, უნდა დაამტკიცოს ამ უფლების წარმოშობის ხელშემშლელი ფაქტობრივი გარემოებები.

აქედან გამომდინარე, შეიძლება შემდეგი სახის შემავამებელი სქემის გაკეთება:

დასაბუთებისა და მტკიცების ტვირთი ეკისრება:		
	ვინც ახორციელებს უფლებას (მოსარჩელე)	ვინც თავს იცავს უფლების განხორციელებისაგან (მოპასუხე)
უფლების დამაფუძნებელი ფაქტობრივი გარემოებები	X	
უფლების დამაბრკოლებელი ფაქტობრივი გარემოებები		X
უფლების შემწყვეტი ფაქტობრივი გარემოებები		X
უფლების შემაფერხებელი ფაქტობრივი გარემოებები		X
უფლების შემანარჩუნებელი ფაქტობრივი გარემოებები	X	

- სამართლებრივი საფუძვლები აწესრიგებს, თუ როგორ წარმოიშვება უფლება ან როგორ ხდება მისი შექმნა
 - აბსოლუტური უფლებები: მაგალითად, სკ-ის 173-ე მუხლი და სკ-ის 186-ე და მომდევნო მუხლები
 - მოთხოვნის უფლებები: მაგალითად, სკ-ის 477-ე, 629-ე, 976-ე და 992-ე მუხლები
 - აღმჭურველი უფლებები: მაგალითად, სკ-ის 72-ე მუხლი
- საპირისპირო ნორმები
 - უფლების დამაბრკოლებელი ფაქტობრივი გარემოებები: მაგალითად, სკ-ის 56-ე და 57-ე მუხლები (მოჩვენებითი და ხუმრობით დადებული გარიგებები)
 - უფლების შემწყვეტი ფაქტობრივი გარემოებები მიუთითებს უფლების შეწყვეტაზე, მაგალითად: შესრულებით, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით, ვალის პატივით, ხელშეკრულების მოშლის შედეგად და ა.შ.
 - უფლების შემაფერხებელი შესაგებელი, მაგალითად: სკ-ის 894-ე მუხლი

საპირისპირო ნორმების გამონაკლისი

უფლება (მოთხოვნა) აგრძელებს არსებობას, მიუხედავად იმისა, სახეზეა თუ არა საპირისპირო ნორმის დისპოზიცია. მტკიცების ტვირთი უფლების შემანარჩუნებელი (შესაგებლის საწინააღმდეგო) ფაქტობრივი გარემოების მტკიცების კუთხით ეკისრება უფლებამოსილ (უფლების მქონე) მხარეს.

ეე) მტკიცების ტვირთთან დაკავშირებული ცალკეული წესები

მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის, ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).

მტკიცების ტვირთი და ნეგატიური ფაქტობრივი გარემოებები

- (1) ნეგატიური ფაქტობრივი გარემოება მოთხოვნის საფუძველში:
 - „სამართლებრივი საფუძვლის გარეშე“ – სკ-ის 976-ე მუხლი
- (2) ნეგატიური ფაქტობრივი გარემოება მოთხოვნის შემწყვეტ ან მისი განხორციელების შემაფერხებელ შესაგებელში
 - უფლების განუხორციელებლობა მისი დაკარგვისათვის სკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით

ნეგატიურ ფაქტობრივ გარემოებაზე არ არის საკმარისი მოწინააღმდეგე მხარის უბრალო შედაგება, არამედ მან პოზიტიურად უნდა დაასაბუთოს საწინააღმდეგო.

კანონისმიერი პრეზუმფციები

- (1) ცნება, სახეობები
 - კანონისმიერი პრეზუმფციები აბრუნებს მტკიცების სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე დასაბუთების და მტკიცების ტვირთს.

მაგალითი:

ის, ვინც მიუთითებს, რომ არის ნივთის მესაკუთრე, წესით უნდა დაამტკიცოს, როდის და როგორ შეიძინა საკუთრება. სკ-ის 158-ე მუხლი კი ათავისუფლებს მას ამის მტკიცების ვალდებულებისაგან, თუ იგი არის ნივთის „მფლობელი“ ამ მუხლის პირველი ნაწილის გაგებით. ნივთის ფლობისას კანონი ასევე ვარაუდობს ამ ნივთის მესაკუთრეობას.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ:

- ფაქტობრივი გარემოებების კანონისმიერ ვარაუდს
- და
- უფლების კანონისმიერ ვარაუდს
- ორივეს არსებობისას ვარაუდობენ უფლების წარმოშობას ან მის შექმნას.

(2) შედეგები მტკიცების სამართალში

ვის სასარგებლოდაც მოქმედებს კანონისმიერი პრეზუმფცია (ვარაუდი), სწორედ მას ევალება მხოლოდ ამ ვარაუდის ფაქტობრივი წინაპირობების მითითება და დამტკიცება. თვითონ პრეზუმფციით ნავარაუდებ ფაქტზე ან უფლებებზე მას მითითებაც კი არ სჭირდება. მოწინააღმდეგე მხარემ უნდა უარყოს პრეზუმფცია და ამტკიცოს საწინააღმდეგო, ვინაიდან მას სრულად აკისრია დასაბუთებისა და მტკიცების ტვირთი. მის მიერ საწინააღმდეგოს მტკიცება წარმოადგენს ძირითად მტკიცებულებას.

ე) მტკიცებულებათა შეფასება

თუ სადავო და საქმის არსებით (საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვან) გარემოებებზე მოხდა მტკიცებულების ამოღება, მაშინ უნდა დაიწყოს ამ მტკიცებულების შეფასება.


მტკიცებულებათა შეფასება სამ დონეზე მიმდინარეობს:

- მტკიცებულებების გამოსადეგობა (სამართლებრივი ვარგისიანობა):
თუ სწორად განხორციელდა მტკიცებულების შეგროვების პროცესი, მტკიცებულებათა შეფასება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კანონთან შესაბამისი მტკიცებულების შეგროვების პროცესის საფუძველზე (იხ. სსკ-ის 103-ე მუხლის მე-3 პუნქტი).
- ფაქტობრივი გარემოებების დონე (ეტაპი):
რა იყო მტკიცებულებების შეგროვების შინაარსი?
- დამაჯერებლობის, დარწმუნების დონე (ეტაპი):
დარწმუნებულია თუ არა სასამართლო მტკიცებულების ამოღების, ანუ თვითონ მტკიცებულების გზით მითითებული ფაქტობრივი გარემოების სიმართლეში (= არ უნდა არსებობდეს „გონივრული ეჭვი“ სადავო გარემოების სიმართლესთან დაკავშირებით) სსკ-ის 105-ე მუხლის გაგებით?

მტკიცებულებების ამოღების შედეგი უნდა იყოს რაციონალურად გასაგები და თავისუფალი ურთიერთგამომრიცხავი ასპექტებისაგან.

სასამართლოს რწმენის მაყალიბებელი ძირითადი საფუძვლები და გარემოებები უნდა აისახოს მის გადაწყვეტილებაში (იხ. სსკ-ის 105-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

მტკიცებულებათა ამოღების შესაძლო შედეგების სქემატური წარმოდგენა შემდგენიარად შეიძლება:



მისამე ნაწილი. კაზუსების ამოხსნის სქემები

კაზუსი N1 (მთის ველოსიპედი):

ირაკლი („ი“) – 17 წლის – ორშაბათს ვასოსგან („ვ“) 500 ლარად ყიდულობს ერთ ნახმარ ველოსიპედს (ე.წ. მაუნთბაიკი (მთის ველოსიპედი), სახეობა – Cross XXL, ფირმა – Diamant, ფერი – ლურჯი). „ვ“-ს დააინტერესებს „ი“-ს ასაკი. „ი“ მართებულად უთითებს თავის ასაკს და აცხადებს, რომ იმედი აქვს, მისი მშობლები თანხმობას განაცხადებენ ამ შენაძენზე. „ი“ ავანსის სახით იხდის 100 ლარს, ველოსიპედი კი ვერ „ვ“-სთან რჩება. მხარეები თანხმდებიან, რომ ირაკლი ვასოს შეატყობინებს მშობლების მოსაზრების შესახებ.

მას შემდეგ, რაც „ვ“ ოთხშაბათ დილაზე ვერაფერს შეიტყობს „ი“-სგან, იგი ირაკლის მშობლების მიმართ წერილობით აცხადებს უარს ხელშეკრულებაზე. წერილობით უარს იგი ოთხშაბათს, დღის მეორე ნახევარში განათავსებს ირაკლის მშობლების საფოსტო ყუთში.

ოთხშაბათს საღამოს კი „ი“ ატყობინებს მშობლებს თავისი შენაძენის შესახებ. მშობლები მოხარულები არიან, რომ მათმა ვაჟმა ასეთი მშვენიერი ველოსიპედი შეიძინა. ისინი „ვ“-ს ტელეფონით უკავშირდებიან და განუცხადებენ თანხმობას ნასყიდობის თაობაზე, მაგრამ „ვ“-სგან პასუხად იღებენ, რომ მას უკვე უარი აქვს გაცხადებული ხელშეკრულებაზე, რომელიც წერილობითი სახით განთავსებულია მათ საფოსტო ყუთში. მშობლები ამოწმებენ საფოსტო ყუთს და მართლაც ნახულობენ „ვ“-ს წერილს.

შეუძლია თუ არა „ი“-ს (წარმოდგენილს თავისი მშობლების მიერ) „ვ“-სგან ნასყიდობის ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნა?

ამოხსნა:

ირაკლის („ი“-ს“), რომელიც წარმოდგენილია თავისი მშობლების მიერ, შესაძლოა ჰქონდეს საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნის უფლება სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

1. გამართულობა (დასაბუთებულობა)

სახეზეა თუ არა სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის წინაპირობები?

- „ი“-მ და „ვ“-მ ერთმანეთის მიმართ გამოავლინეს ნება, რომელიც მიმართული იყო ნასყიდობის ხელშეკრულების (კონკრეტულ ველოსიპედზე 500 ლარად) დადებაზე.

- მაგრამ:
 - „ი“ ჯერ 17 წლისაა; შესაბამისად, მას თავისი კანონიერი წარმომადგენლის (მშობლების) თანხმობის გარეშე არ შეუძლია ნამდვილი ხელშეკრულების დადება. ამიტომ ნასყიდობა იყო მერყევად ბათილი.
 - მშობლებმა ოთხშაბათს საღამოს მოიწონეს ნასყიდობის ხელშეკრულება, რის შედეგადაც იგი შესაძლოა იქცა სამართლებრივად ნამდვილ ხელშეკრულებად სკ-ის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად.

2. გამყიდველი „ვ“-ს შესაგებელი:

- „ვ“ ამბობს, რომ მან უარი თქვა ხელშეკრულებაზე (ნების გამოვლენაზე), რაც, როგორც წესი, **არსებითი**, ვინაიდან ნების გამოვლენაზე უარი წარმოადგენს მოთხოვნის შემწყვეტ შესაგებელს.
- თუმცა, სახეზე უნდა იყოს ნების გამოვლენაზე უარის თქმის საფუძვლები. მშობლების მიერ ხელშეკრულების მოწონებისას (ოთხშაბათს საღამოს) შესაძლოა არც კი ყოფილიყო შესაძლებელი მისი მოწონება, თუ „ვ“ მანამდე (სამართლებრივად ნამდვილად) განაცხადებდა უარს. უარი მშობლებს ჩაბარდათ კიდევ (იხ. სკ-ის 51-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ჰქონდა თუ არა „ვ“-ს ხელშეკრულებაზე უარის საფუძველი?

- o სკ-ის 64-ე მუხლის პირველი ნაწილი ჯერ ზოგადად აწესებს, რომ მეორე მხარეს (აქ: „ვ“-ს) მოწონებამდე აქვს უფლება, უარი თქვას ნების გამოვლენაზე.
- o მაგრამ: სკ-ის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილი – როგორც სპეციალური ნორმა – ითვალისწინებს, რომ მეორე მხარეს არასრულწლოვანების შესახებ ცოდნისას უარის თქმის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ არასრულწლოვანმა იცრუა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობასთან დაკავშირებით.

სუბსუმცია:

წინამდებარე შემთხვევაში „ვ“-მ იცოდა, რომ „ი“ ჯერ 17 წლის იყო. „ი“-მ „ვ“-ს არც თავისი ასაკი დაუმალა და ისიც უთხრა, რომ ჯერ არ ჰქონდა მშობლების თანხმობა და იმედოვნებდა მის მიღებას. ანუ, მან არ იცრუა „ვ“-ს წინაშე.

შედეგი:

უარი უშედეგოა; სახეზე არ არის უარის თქმის საფუძველი. ამრიგად, აღარ აქვს მნიშვნელობა, თუ როდის განხორციელდა მოწონება, უარის ჩაბარებამდე, თუ მას შემდეგ.

3. დასკვნა:

„ი“-ს, წარმოდგენილს თავისი მშობლების მიერ, აქვს უფლება, მოითხოვოს ნასყიდობის ხელშეკრულების შესრულება. კერძოდ, მას შეუძლია მოსთხოვოს „ვ“-ს დარჩენილი ფასის 400 ლარის გადახდის სანაცვლოდ გადასცეს მას საკუთრება ნასყიდობის საგანზე, ანუ ნახმარ ველოსიპედზე (ე.წ. მაუნთბაიკი, სახეობა – Cross XXL, ფირმა – Diamant, ფერი – ლურჯი).

კაზუსი N2 (ფეხსაცმელებით მოვაჭრე):

ანა („ა“) ფეხსაცმელებით ვაჭრობს თბილისში. იგი ტელეფონით უკავშირდება საბითუმო მოვაჭრე ვანოს („ვ“) და ეკითხება, შეძლებს თუ არა 100 წყვილი ქალის ფეხსაცმლის (მოდელი „Cabana“, ზომა ...) მიწოდებას. „ვ“ ამოწმებს საწყობს. ამის შემდეგ იგი ავალებს თავის თანამშრომელ ეკატერინეს („ე“) ანასთვის ფეხსაცმლის თითო წყვილის 91 ლარად შეთავაზებას. „ე“, რომელიც დავალების მიღებისას ტელეფონზე საუბრობს და შესაბამისად, არ არის კონცენტრირებული, წერილის აკრეფაში უშვებს შეცდომას და შემდეგი შინაარსის მეილს უგზავნის ანას: „ჩვენ სიამოვნებით მოგაწვდით 100 წყვილი ქალის ფეხსაცმელს (მოდელი „Cabana“). თითო წყვილის ღირებულებაა 19 ლარი. მთლიანი პარტიის ფასი – 1.900 ლარი“.

დაბალი ფასით გახარებული ანა მაშინვე უგზავნის „ვ“-ს საპასუხო მეილს და წერს: „დიდი სიამოვნებით ვთანხმდები თქვენს დღევანდელ შემოთავაზებას და გიკვეთავთ „Cabana“-ს მოდელის 100 წყვილ ქალის ფეხსაცმელს, წყვილს 19 ლარად“.

ანა ამბობს, რომ შეკვეთიდან ერთი საათის შემდეგ მან ასივე წყვილი მიჰყიდა ფეხსაცმელების მაღაზიის მფლობელ დიმიტრის, თითო 109 ლარად.

მომდევნო დღეს „ვ“ ამჩნევს თავისი თანამშრომლის „ე“-ს შეცდომას და მაშინვე უკავშირდება ანას: „უკაცრავად, მაგრამ ჩემს თანამშრომელს გუშინ მეილის წერისას შეცდომა გაეპარა. ციფრი 91-ის ნაცვლად მას კომბინაცია აერია და 19 მოგწერათ. შესაბამისად, წინამდებარე წერილით ვახორციელებ შეცდომით დადებული ხელშეკრულების შეცილებას. მიუხედავად ამისა, ფეხსაცმელების მიწოდება შესაძლებელია, თუმცა თითო 91 ლარად, ანუ 100 x 91 ლარი = 9.100 ლარი“.

ანა აცხადებს, რომ არ ეთანხმება ხელშეკრულების შეცილებას და მოითხოვს, რომ „ვ“-მ მას სწორედ 19 ლარად მიაწოდოს ფეხსაცმელები. ყოველი შემთხვევისათვის, „ვ“-მ მას ის ზიანი უნდა აუნაზღაუროს, რაც მიადგება თუ ჩაიშლება „დ“-სთან დადებული გარიგება.

„ვ“ სადავოდ ხდის „დ“-სთან ფეხსაცმელების შემდგომ გადაყიდვაზე ხელშეკრულების დადების ფაქტს. გარდა ამისა, იგი აცხადებს, რომ „ა“-ს თავისუფლად შეეძლო აკრეფისას დაშვებული შეცდომის შემჩნევა, ვინაიდან მითითებული ფასი ძალზედ არარეალური იყო.

„ა“ ფეხსაცმელების 109 ლარად გადაყიდვის ფაქტის დასამტკიცებლად „დ“-ს ასახელებს მოწმედ.

შეუძლია თუ არა „ა“-ს მოსთხოვოს „ვ“-ს ფეხსაცმელების მიწოდება თითო წყვილი 19 ლარად?

ეკუთვნის თუ არა „ა“-ს მიუღებელი მოგება? უნდა დაიკითხოს თუ არა მოწმე „დ“?

ამოხსნა:

I. შეუძლია თუ არა „ა“-ს მოითხოვოს ფეხსაცმელების მიწოდება თითო წყვილი 19 ლარად (მთლიანად $100 \times 19 = 1900$ ლარად)?

1. არის თუ არა „ა“-ს მოთხოვნა გამართული (დასაბუთებული)?

თავდაპირველად დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება (სკ-ის 477-ე მუხლი) 100 წყვილი ფეხსაცმლის თაობაზე. აღნიშნული გამომდინარეობს ოფერტისა და აქცეპტის „გონივრული შეფასებიდან“.

ამასთან, „ვ“-ს უნდოდა თითო წყვილი ფეხსაცმლის 91 ლარად შეთავაზება. თუმცა, მის თანამშრომელ „ე“-ს, რომელსაც დავალებული ჰქონდა შესაბამისი ოფერტის შუცვლელად გადაგზავნა „ა“-სთვის, შეეშალა და შეაბრუნა ციფრები („91“-ის მაგივრად აკრიფა „19“).

სახეზეა „არსებითი შეცდომა“, დაშვებული ნების გადამტანი პირის მიერ (იხ. სკ-ის მე-80, 72-ე მუხლები და 73-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი).

აღნიშნული შეცდომა, სკ-ის 72-ე მუხლის თანახმად, ანიჭებს „ვ“-ს შეცილების უფლებას.

„ვ“-მ შეცილება განახორციელა შეცდომის შესახებ შეტყობისთანავე (ანუ კანონით გათვალისწინებული ერთი თვის ვადაში). მისი შეცილება ნამდვილია; იგი იწვევს ნების გამოხატვის და ამით გარიგების ბათილობას.

2. შედეგი:

„ა“-ს აღარ შეუძლია 100 წყვილი ფეხსაცმლის თითოს 19 ლარად მიწოდების მოთხოვნა.

(შენიშვნა: „ა“-ს ჰქონდა შესაძლებლობა, მიეღო ახალი ოფერტი, კერძოდ, ფეხსაცმელები თითო 91 ლარად, მაგრამ არ ჰქონდა ამის ინტერესი.)

II. შეუძლია თუ არა „ა“-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა?

1. გარიგების ნამდვილობის შემთხვევაში „ა“ 100 წყვილ ფეხსაცმელს შეიძენდა 1.900 ლარად (100×19 ლარი = 1900 ლარი) და გაყიდა 10.900 ლარად (100×109 ლარი). შესაბამისად, მან შესაძლოა დაკარგა 9.000 ლარის ოდენობის მოგება.

ანა	ვანოს შესაგებლები
<p>მოთხოვნის უფლება შესაძლოა გამომდინარეობდეს სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადებიდან:</p> <p>წინაპირობები სახეზეა:</p> <ul style="list-style-type: none"> - განხორციელდა გარიგების შეცილება. - შეცდომა წარმოიშვა თანამშრომელი „ე“-ს გაუფრთხილებლობით, რომელიც წერილის შედგენისას არ იყო კონცენტრირებული და გაფანტული ჰქონდა ყურადღება. 	<p>სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე „ვ“-ს შესაგებელი შესაძლოა უპირისპირდებოდეს მოთხოვნას:</p> <p>აღნიშნული ნორმის მიხედვით, ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშვება, თუ მეორე მხარემ (აქ: „ა“) იცოდა შეცდომის შესახებ ან გაუფრთხილებლობით ვერ შენიშნა იგი.</p> <p>მოცემულ შემთხვევაში ანა „არაკეთილსინდისიერად“ მოქმედებდა და მას ასევე ეკისრება შედეგები თავისი გაუფრთხილებელი (უზრუნველი) ქმედების (სკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება) საფუძველზე. ის, რომ ფეხსაცმელს ყიდულობ 19 ლარად, რომელსაც მაშინვე ყიდი თითქმის ექვსმაგ ფასად (მოგება 570%!!!), სულ მცირე, უცნაურია. სწორედ ამ გარემოებებს გარკვეული ეჭვი უნდა გამოეწვია „ა“-ში, რის შემდეგაც მას ფასი კიდევ ერთხელ უნდა გადაემოწმებინა „ვ“-სთან. (აქ შესაძლებელია ასევე სხვა მოსაზრების განვითარებაც. მნიშვნელოვანია კონკრეტული შემთხვევის ცალკეული გარემოებები)</p> <p>მოწმე „დ“-ს დაკითხვა არ არის საჭირო.</p>

3. დასკვნა:

„ა“ ვერ მოითხოვს მიუღებელი მოგების ანაზღაურებას, ვინაიდან მას უნდა შეემჩნია (თვალში მოხვედროდა) ფასის ცდომილება („19“ „91“-ის ნაცვლად).

მოწმე „დ“-ს ჩვენება ამ კუთხით ვერაფერს შეცვლის და შესაბამისად უმნიშვნელოა.

კაზუსი N 3 (საზიარო სახლი):

მეგობრები „ა“ და „ბ“ 1995 წელს ერთობლივად შეიძენენ ერთ სახლს ორ ოჯახზე, სადაც თავიანთ ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ 2010 წლამდე. 2010 წელს მათ („ა“-ს და „ბ“-ს) სერიოზული უსიამოვნება მოუვათ და ორივე გადაწყვეტს ერთობლივად შეძენილი ნაკვეთისა და სახლის გაყიდვას (ფასი საბაზრო ღირებულების თაობაზე დასკვნის თანახმად – 150.000 ლარი). თუმცა, გაჭირდება მყიდველის პოვნა. „ა“ სთავაზობს „ბ“-ს, სახლის გაყიდვა დაავალონ მის ნაცნობ მაკლერ „კ“-ს. „ბ“ არ არის თანახმა, ვინაიდან შიშობს, რომ „ა“ და მისი კარგად ნაცნობი მაკლერი მას გააცურებენ. მიუხედავად „ბ“-ს წინააღმდეგობისა, „ა“ მაინც დაავალებს მაკლერ „კ“-ს ნაკვეთისა და სახლის გასხვისებას. აღნიშნული შეთანხმება მხარეებს შორის გაფორმდება წერილობით (იხილეთ დანართი (არასრული სახით)).

გარკვეული დროის შემდეგ მაკლერი „კ“ იპოვნის მყიდველს და დანიშნავს შეხვედრას ნოტარიუსთან ნასყიდობის ხელშეკრულების გასაფორმებლად. „ა“ მყიდველისა და ნოტარიუსთან შეხვედრის თაობაზე ინფორმაციას აწვდის „ბ“-საც, რომელიც ცხადდება ნოტარიუსთან და თავის მხრივ ხელს აწერს ნასყიდობის ხელშეკრულებას, მიუხედავად იმისა, რომ ნოტარიუსიც „ა“-ს ნაცნობია, რაც „ბ“-მ მშვენივრად იცის. მისი აზრით, შეთანხმებული ფასი, კერძოდ, 200.000 ლარი, ბევრად აღემატება მოსალოდნელს. ამის შემდეგ, ნაკვეთი გაფორმდება ახალ მყიდველზე. მყიდველის მიერ გადახდილი შეთანხმებული ფასი კი თანაბრად ნაწილდება „ა“-სა და „ბ“-ს შორის.

2011 წელს მაკლერი „კ“ მიმართავს „ა“-საც და „ბ“-საც თავისი ანაზღაურების, კერძოდ 6.000 ლარის მოთხოვნით, დამატებით დღე 18% (1080 ლარი); მთლიანად – 7.080 ლარი.

„ა“ იხდის ზუსტად ნახევარს (ანუ, 3.540 ლარს) და „კ“-ს ატყობინებს, რომ მეორე ნახევარი „ბ“-მ უნდა დაფაროს. ამასთან, იგი აცხადებს, რომ „ბ“-ს მიმართ თავის მოთხოვნებს უთმობს მაკლერ „კ“-ს, რაზეც „კ“ თანხმობას აცხადებს.

„ბ“ მაკლერის ანგარიშის მიღების შემდეგ პასუხობს მას, რომ სულ არ თვლის თავს ვალდებულად მისი ანაზღაურების ნახევრის გადახდაზე. ბოლოსდაბოლოს მას ხომ არ დაუქირავებია მაკლერი. თანაც იგი მიიჩნევს, რომ შეთანხმებული ანაზღაურება ძალიან მაღალია. კერძოდ, შეთანხმებაში მხოლოდ 3 % საუბარი და დღე-ს შესახებ არაფერია ნახსენები. საბოლოოდ კი იგი უარს აცხადებს გადახდაზე, რადგან „კ“-ს მიმართ თავს ვალდებულად არ მიიჩნევს.

მაკლერი „კ“ მიმართავს სასამართლოს და ითხოვს „ბ“-სთვის მისი ანაზღაურების დარჩენილი ნაწილის დაკისრებას 3.540 ლარის ოდენობით.

აქვს თუ არა სარჩელს წარმატების პერსპექტივა?

დანართი:

სამაკლერო მომსახურების ხელშეკრულება

„კ“-სა
(მაკლერი)

და

„ა“-ს
(დამკვეთი)
შორის

„ა“-სა და „ბ“-ს თანასაკუთრებაში არსებული ორი ოჯახის საცხოვრებელი სახლის (ზუსტი დასახელება, მითითება) თაობაზე.

.....

.....

იმ შემთხვევაში, თუ მაკლერი მოახერხებს უძრავი ქონების გასხვისებას, დამკვეთი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მაკლერს სამაკლერო ანაზღაურება ნივთის გასხვისებით მიღებული ფასის 3%-ის ოდენობით.

თარიღი:
ხელმოწერები:

„კ“

„ა“

ამოხსნა:

1. საკუთარი უფლებებიდან გამომდინარე მოთხოვნები:

შესაძლოა „კ“-ს ჰქონდეს მოთხოვნის უფლება სამაკლერო მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე (სკ-ის 744-ე და 745-ე მუხლების მიხედვით).

მოთხოვნის უფლების წარმოშობის წინაპირობებია:

- (ა) სამაკლერო ხელშეკრულება
- (ბ) ნასყიდობის ხელშეკრულება
- (გ) მიზეზობრივი კავშირი
- (დ) შეთანხმება სამაკლერო მომსახურების გასამრჯელოს თაობაზე

წინამდებარე შემთხვევაში შემოწმების დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ სახეზე არ არის პირველივე წინაპირობა, კერძოდ, (ა): „კ“-სა და „ბ“-ს შორის არ დადებულია სამაკლერო მომსახურების ხელშეკრულება.

„ა“ არც წარმომადგენელი იყო სკ-ის 103-ე მუხლის მიხედვით. ასეთი წარმომადგენლობა არც კანონიდან გამომდინარეობს და არც კონკრეტული დავალებიდან იკითხება. მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს სკ-ის 104-ე მუხლის მე-3 ნაწილის შემთხვევასთან: აქ „ბ“-ს არც უნდა ევარაუდა წარმომადგენლობის შესახებ და მისთვის არ იყო სულერთი, თუ ვისთან დადებდა გარიგებას.

2. დათმობილი უფლებებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება სკ-ის 199-ე მუხლის თანახმად

„ა“-ს შესაძლო მოთხოვნების შემოწმება „ბ“-ს მიმართ

1. სკ-ის 173-ე მუხლის მე-3 ნაწილი მხოლოდ ნივთის მოვლა-პატრონობას ეხება.
2. რაც შეეხება სკ-ის 930-ე და მომდევნო მუხლებს, აქ საერთო მიზანი არ არის სახეზე.
3. აქ არც სკ-ის 953-ე და მომდევნო მუხლებია სათანადო ნორმა.
4. დავალების გარეშე კეთილსინდისიერად სხვისი საქმეების შესრულება – სკ-ის 969-ე და მომდევნო მუხლები, სკ-ის 974-ე მუხლი:

განსახილველია, სახეზეა თუ არა დავალების გარეშე კეთილსინდისიერად სხვისი საქმეების შესრულება, როდესაც „ბ“-მ აშკარა უარი განაცხადა „კ“-სთვის შესაბამისი დავალების დაკისრებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სახეზეა შემდგომი თანხმობა (მოწონება) სკ-ის 101-ე მუხლის გაგებით. ასეთი თანხმობა (მოწონება) განხორციელდა კონკლუდენტურად, ანუ გამომდინარეობს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელის მოწერის ფაქტიდან. შესაბა-

მისად, „ა“-ს წარმომეშა მოთხოვნა „ბ“-ს მიმართ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან, ვინაიდან „ბ“-მ ხელშეკრულების ხელმოწერით მოიწონა „ა“-ს განხორციელებული მოქმედება.

შესაძლოა, „ბ“-ს ურთიერთგამომრიცხავი ქმედებიდანაც წარმოშობილიყო მოთხოვნის უფლება.

(შენიშვნა: თუ მოთხოვნის წარმოშობა უარყოფილ იქნებოდა, შესაძლებელია სახეზე ყოფილიყო მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე, თუ ამასობაში „ა“-მ ისევე არ დაკარგავდა იმას, რითიც გამდიდრდა).

3. დასკვნა (მოთხოვნის უფლების შინაარსი, ოდენობა)

„ა“-ს მოთხოვნა „ბ“-ს წინააღმდეგ თავდაპირველად მიმართული იყო მაკლერისათვის თანხის ანაზღაურებისგან გათავისუფლებაზე. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ „ა“-ს „ბ“-ს მიმართ წარმომეშა მოთხოვნა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან. ეს მოთხოვნა მან დაუთმო „ვ“-ს და შესაბამისად, მოთხოვნის დათმობის გზით ანაზღაურების გადახდისაგან გათავისუფლების მოთხოვნა „ბ“-ს მიმართ გარდაიქმნა „კ“-ს თანხის გადახდის მოთხოვნად „ბ“-ს მიმართ.

მოთხოვნა არსებობს მხოლოდ 3%-ის ოდენობით, ვინაიდან „ა“ მხოლოდ ამ ოდენობით იქნებოდა გადახდაზე ვალდებული. დამატებითი ღირებულების გადასახადი კი არ იყო მათ შორის ცალკე შეთანხმებული.

კაზუსი N 4 (ქირავნობის შეწყვეტა):

მათემ („მ“) ვასოსთან („ვ“) 2011 წლის აგვისტოს გააფორმა ქირავნობის ხელშეკრულება თბილისში მდებარე ბინაზე 800 ლარად.

2012 წლის 6 თებერვალს „მ“ თავის საფოსტო ყუთში პოულობს „ვ“-ს წერილს, რომლითაც „ვ“ აცხადებს ქირავნობის ხელშეკრულების მოშლას 2012 წლის 6 თებერვლისთვის. „ვ“ წერილში მიუთითებს შემდეგს: გადაუხდელია 2011 წლის ნოემბრის, დეკემბრის და მომდევნო წლის იანვრის ქირა; გარდა ამისა, „მ“-მ უკვე მეორედ დააზიანა ბინის კარი. „ვ“ ამტკიცებს, რომ მან „მ“-ს ჯერ კიდევ 2011 წლის დეკემბერში ფოსტით გაუგზავნა გაფრთხილება, როდესაც „მ“-მ პირველად დააზიანა კარი.

„მ“ არ ეთანხმება ხელშეკრულების მოშლას. იგი ამბობს, რომ არ არსებობს მოშლის საფუძველი. მართალია, მას არ გადაუხდია 2011 წლის ნოემბრის, დეკემბრის და მომდევნო წლის იანვრის ქირა, მაგრამ მას ამისათვის მიზეზი ჰქონდა. კერძოდ, მისი განმარტებით, ბინის არცერთ ოთახში არ ფუნქციონირებდა გათბობა, ამიტომ სახლში ძალიან ციოდა, (ტემპერატურა მხოლოდ 13 გრადუს ალწევდა) რის გამოც იგი თავისი მეგობრის, ანდრიას ბინაში ცხოვრობდა.

ბინის კართან დაკავშირებით კი „მ“ აცხადებს, რომ იანვარში რბილი ავეჯის ტრანსპორტირების შედეგად მართლაც დაზიანდა კარი. ეს იყო და ეს. არც მანამდე

და არც ამის შემდეგ კარი არ დაზიანებულა. სიმართლეს არ შეესაბამება ის ფაქტი, რომ მან ბინის დაზიანების შესახებ „ვ“-სგან გამაფრთხილებელი განცხადება მიიღო.

გამპირავებელი „ვ“ ამ ყველაფერზე აცხადებს: მართალია, გათბობა არ მუშაობს, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ არის. მთელი კორპუსის გათბობის სისტემას აქვს ტექნიკური დეფექტი, რაც არის ამ გაუმართაობის მიზეზი. ამასთან, მას გამოძახებული ჰყავდა ხელოსანი, რომელმაც ჯერჯერობით ვერ მოახერხა დეფექტის აღმოფხვრა და სისტემის გამართვა.

გარდა ამისა, „ვ“ თვლის, რომ „მ“-მ ხელშეკრულების დადებისას იცოდა გათბობის სისტემის დეფექტის შესახებ.

იგი ასევე იმეორებს, რომ „მ“-ს წერილის სახით 2011 წლის 10 დეკემბერს ფოსტით გაფრთხილება გაუგზავნა მას.

„მ“ პასუხობს, რომ ხელშეკრულების დადებისას მან არაფერი იცოდა გაფუჭებული გათბობის შესახებ.

განხორციელება თუ არა წარმატებით ხელშეკრულების მოშლა?

ამოხსნა:

ხელშეკრულების მოშლა უნდა განხორციელდებოდეს ფორმის დაცვით. გარდა ამისა, სახეზე უნდა იყოს (სულ მცირე) მოშლის საფუძველი.

მოშლის შესახებ წერილობითი შეტყობინება (სკ-ის 563-ე მუხლის მიხედვით) სახეზეა.

1. გამომდინარეობს თუ არა მოშლის შესახებ შეტყობინებიდან მოშლის დასაბუთებული საფუძველი?

- „ვ“ აცხადებს:
 - „მ“-ს არ გადაუხდია სამი თვის ქირა = გამართულია სკ-ის 558-ე მუხლის მიხედვით
 - „მ“-მ რამდენჯერმე არსებითად დააზიანა ბინა, თანაც მას შემდეგ, რაც „ვ“-სგან მიიღო გამაფრთხილება
- აღნიშნული განმარტებები ასევე გამართულია სკ-ის 557-ე მუხლის მიხედვით.

2. არის თუ არა „მ“-ს შესაგებელი არსებითი?

- „მ“ აცხადებს:
 - ბინა 2011 წლის ოქტომბრიდან აღარ თბება, შესაბამისად, არც საცხოვრებლად ვარგა.
- აღნიშნული წარმოადგენს არსებით შესაგებელს (სკ-ის 536-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით) სკ-ის 558-ე მუხლზე დაფუძნებული მოშლის წინააღმდეგ

- ბინა მხოლოდ ერთხელ (მსუბუქად) იყო დაზიანებული,
 - არანაირი გაფრთხილების ჩაბარება არ მომხდარა
- აღნიშნული წარმოადგენს არსებით შესაგებელს სკ-ის 557-ე მუხლის გაგებით, ვინაიდან მოთხოვნის წარმოშობა ითვალისწინებს ნივთის არაერთგზის არსებით დაზიანებას და მოშლამდე განხორციელებულ გაფრთხილებას.

შუალედური შედეგი:

„მ“-ს შესაგებლები ხელშეკრულების მოშლის ორივე საფუძველთან დაკავშირებით არსებითია.

3. ედავება თუ არა „ვ“ „მ“-ს არსებით შესაგებელს ან მიუთითებს თუ არა იგი მოთხოვნის უფლების შემანარჩუნებელ გარემოებებზე?

- სკ-ის 557-ე მუხლის საფუძველით ხელშეკრულების მოშლასთან (ნივთის დაზიანება) დაკავშირებით „ვ“ აცხადებს, რომ მან 13 დეკემბერს წერილობითი გაფრთხილება გადასაგზავნად ჩააბარა ფოსტას.

აღნიშნული არ არის საკმარისი. „ვ“-მ უნდა დაასაბუთოს და დაამტკიცოს, რომ ადგილი ჰქონდა არაერთგზის დაზიანებას და ის, თუ როდის (ხელშეკრულების მოშლამდე) ჩაბარდა ადრესატს გაფრთხილება.

ამასთან, გამქირავებელი არაფერს ამბობს დაზიანებების არსებითობასთან დაკავშირებით.

- სკ-ის 558-ე მუხლის საფუძველით ხელშეკრულების მოშლასთან (ქირის გადაუხდელობა) დაკავშირებით „ვ“ მიუთითებს ორ გარემოებაზე:

(1) მან, როგორც გამქირავებელმა ყველაფერი მოიმოქმედა იმისათვის, რომ გამოსწორებულიყო ხარვეზი, მას არ მიუძღვის ბრალი გათბობის გაუმართაობაში.

აღნიშნული არ არის არსებითი, ვინაიდან ქირის შემცირების უფლება (ქირავნობის ნივთით ვერ სარგებლობისას) წარმოიშვება გამქირავებლის ბრალეულობისაგან დამოუკიდებლად.

(2) „მ“-მ თითქოს ხელშეკრულების დადებისას იცოდა გათბობის გაუმართაობის შესახებ.

აღნიშნული წარმოადგენს მოთხოვნის უფლების შემანარჩუნებელ არსებით გარემოებას (სკ-ის 538-ე მუხლის და 536-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით), ვინაიდან „მ“-ისთვის ხელშეკრულების დადების მომენტში ცნობილი რომ ყოფილიყო ქირავნობის ნივთის ნაკლის შესახებ, მაშინ იგი ვეღარ განახორციელებდა ქირის შემცირების მოთხოვნას ამ ნაკლიდან გამომდინარე.

4. მაგრამ „მ“ სადავოს ხდის მის მიერ აღნიშნული ნაკლის ცოდნას (გათბობის სისტემაში არსებული ტექნიკური დეფექტი).

აღნიშნული კი ასევე არსებითია.

„ვ“-მ უნდა დაამტკიცოს, რომ „მ“-მ ხელშეკრულების დადებისას იცოდა გათბობის სისტემის გაუმართაობის შესახებ. ამას კი ის ვერ შეძლებს.

5. დასკვნა:

ხელშეკრულების მოშლა ვერ განხორციელდება წარმატებით, რადგან ვერ დასტურდება ვერც სკ-ის 558-ე და ვერც 557-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი.

კაზუსი N 5 (კომბაინის გასხვისება):

მოსარჩელე არის საველე კომბაინის (მოსავლის ასაღები დანადგარის) მესაკუთრე. თავისი სარჩელით იგი ითხოვს კომბაინის დაბრუნებას.

2010 წლის მოსავლისათვის მოსარჩელემ მოპასუხეს მიაქირავა თავისი კომბაინი. იმავე წლის ოქტომბერში კი მან შეთანხმებისამებრ მიაკითხა თავის კომბაინს წამოსაღებად. თუმცა, მან შენიშნა, რომ მოპასუხის ნაკვეთზე კომბაინი აღარ იდგა. თავდაპირველად ვერც მისი ადგილსამყოფელის შესახებ მიიღო ინფორმაცია, თუმცა, მერე გაარკვია, რომ მოპასუხემ ფინანსური კრიზისის გამო სხვას, ანუ „დ“-ს მიჰყიდა ეს კომბაინი.

ამის შემდეგ მოსარჩელე მივიდა „დ“-სთან და მისგან დააპირა კომბაინის წამოღება. გაცემულმა „დ“-მ განუცხადა, რომ მან არაფერი იცოდა მოსარჩელის და მისი საკუთრების შესახებ ამ კომბაინზე და რომ მან, იმის რწმენით, რომ მოპასუხე ნივთის მესაკუთრეა, მისგან 10.000 ლარად შეიძინა კომბაინი. თუმცა, ისიც აღნიშნა, რომ არ არის კმაყოფილი თავისი შენაძენით, ვინაიდან კომბაინი ნაკლის მექონეა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ცოტა ხნის ექსპლუატაციის შემდეგ ძრავი გაჩერდა. ამის გამო, „დ“-მ უკვე განაცხადა უარი კომბაინის თაობაზე დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, რის შესახებაც შეატყობინა მოპასუხეს და დაუბრუნა კიდევ უკან ნივთი. ამრიგად, „დ“-ს განცხადებით, კომბაინი ისევ მოპასუხის ტერიტორიაზე უნდა იდგეს.

მოგვიანებით ამაში მოსარჩელეც დარწმუნდა. მოპასუხე აცხადებს, რომ მოსარჩელეს აღარ აქვს კომბაინის დაბრუნების მოთხოვნის უფლება. გარდა ამისა, ის ამბობს, რომ კომბაინი განთავსებულია ისევ მასთან და რომ მას თავის მხრივ შეეცებოდა მხოლოდ მოთხოვნა აქვს მოსარჩელის მიმართ 10.000 ლარის ოდენობით დაყენებული.

აქვს თუ არა მოსარჩელეს („კ“) უფლება მოსთხოვოს მოპასუხეს („ბ“) კომბაინის დაბრუნება?

ამოხსნა:

ცხრილი

„კ“ (1) გაქირავება /მოსავალი 2010



„ბ“



„დ“

- (2) „ბ“ გადასცემს საკუთრებას „დ“-ს
- (3) კომბანი არის ნაკლის მქონე, უარი ხელშეკრულებაზე „დ“ უკან აბრუნებს საკუთრებას

წარმოეჭვა თუ არა „კ“-ს „ბ“-ს მიმართ ნივთის დაბრუნების მოთხოვნა?

1. საკუთრებიდან – სკ-ის 172-ე მუხლი (ვინდიკაცია).

ა) თავდაპირველად „კ“ იყო კომბანის მესაკუთრე

ბ) ჰქონდა თუ არა ადგილი „ბ“-ს მიერ „დ“-სთვის საკუთრების გადაცემას?

(1) უფლებამოსილისაგან „დ“ საკუთრებას ვერ შეიძენდა, ვინაიდან „ბ“ იყო არაუფლებამოსილი პირი

(2) სახეგა თუ არა არაუფლებამოსილი პირის მიერ საკუთრების შეძენა (საკუთრების კეთილსინდისიერი შეძენა) სკ-ის 186-ე და 187-ე მუხლების საფუძველზე?

- მონაწილეები შეთანხმდნენ საკუთრების გადაცემა/გადასვლაზე.
- განხორციელდა ნივთის გადაცემა.
- მართალია, „ბ“ იყო არაუფლებამოსილი, მაგრამ განმსაზღვრელია ის, რომ „დ“ იყო კეთილსინდისიერი: „დ“-ს „ბ“ მიაჩნდა მესაკუთრედ,

ასევე არ იკვეთება ისეთი გარემოებები, რომლებსაც „დ“ უნდა დაეჭვებინა „ბ“-ს მესაკუთრეობასთან, ანუ მის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით; თანაც „ბ“ იყო კომბანის მფლობელი.

დაბოლოს, „კ“-ს კომბანი არც დაუკარგავს და არც მოუპარავთ მისთვის. მან იგი „ბ“-ს მიაქირავა (ნებით გადასცა).

შუალედური შედეგი: „დ“-მ კეთილსინდისიერად შეიძინა საკუთრება კომბანიზე.

ა) საკითხავია, განხორციელდა თუ არა უკუშეძენა (უკუმიყიდვა) „ბ“-ზე? და არის თუ არა აღნიშნული არსებითი უფლებების კუთხით?

კომბაინი იყო ნაკლის მქონე,

„დ“-მ განაცხადა უარი ხელშეკრულებაზე – სკ-ის 491-ე მუხლი.

შეიძინა თუ არა „ბ“-მ საკუთრება სკ-ის 186-ე მუხლის საფუძველზე?

„ბ“ – მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად იყო არაუფლებამოსილი (!) – საკუთრებას იძენს უფლებამოსილი პირისგან, კერძოდ „დ“-სგან. ამ გზით „ბ“ გახდა კომბაინის მესაკუთრე.

(შესაძლებელია სხვა მოსაზრების/შეფასების განვითარებაც. შენიშვნა: გერმანულ სამართლებრივ ლიტერატურაშიც არსებობს განსხვავებული პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით (იხ. Palandt, BGB, 71. Aufl., § 932 Rn. 17), სადაც ნათქვამია, რომ ასეთ შემთხვევაში არაუფლებამოსილი პირი სრულიად „შემთხვევით“ იძენს მესაკუთრის პოზიციას; რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არასაკმარისი საფუძვლით იღებს სარგებელს ხელშეკრულების უკუქცევით წარმოშობილი ურთიერთობიდან).

ბ) დასკვნა:

„კ“-ს არ აქვს უფლება მოსთხოვოს „ბ“-ს ნივთის დაბრუნება სკ-ის 172-ე მუხლის საფუძველზე.

2. მოთხოვნა ქირავნობიდან – სკ-ის 654-ე და 559-ე მუხლები.

ა) „კ“-სა და „ბ“-ს შორის არსებობდა და ჯერ კიდევ არსებობს ქირავნობის ურთიერთობა. „კ“-ს (მხოლოდ) 2010 წლის მოსავლის ასაღებად სურდა „ბ“-სთვის თავისი კომბაინის გადაცემა.

ბ) რადგან ქირავნობის ვადა გასულია, შესაძლოა „კ“-ს ჰქონდეს უფლება, მოითხოვოს ქირავნობის საგნის დაბრუნება არაჯეროვანი (არამიმზნობრივი) მოხმარების, ქმედების გამო (ასეთი მოთხოვნა იმავდროულად მოიცავს ქირავნობის ხელშეკრულების კონკლუდენტურ მოშლასაც).

გ) საკითხავია, სახეზეა თუ არა ე.წ. „dolo-agit-შესაგებელი“ (dolo agit qui petit quod statitutum est), რომლის თანახმადაც „ბ“-ს, როგორც მესაკუთრეს შეეძლებოდა „კ“-სგან ნივთის (კომბაინის) გამოთხოვა?

არა, „ბ“ ზიანის ანაზღაურების ფარგლებში ვალდებულია, უკან გადასცეს „კ“-ს საკუთრება კომბაინზე, სკ-ის 408-ე მუხლი.

3. დასკვნა:

„კ“-ს აქვს უფლება, მოსთხოვოს „ბ“-ს საველე კომბაინის დაბრუნება.

კაზუსი N 6 (სახურავიდან ჩამოვარდნილი კრამიტი):

„ა“ 2009 წლის 10 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოში აღძრავს სარჩელს „ბ“-ს წინააღმდეგ და ითხოვს ზიანის ანაზღაურებას 2.000 ლარის ოდენობით.

„ა“ განმარტავს: 2007 წლის 5 მარტს იგი მიდიოდა თბილისის ერთ-ერთი ქუჩის ფეხით სავალ ნაწილზე, როდესაც მას თავში დაეცა სახლის სახურავიდან ჩამოვარდნილი კრამიტი. აღნიშნულის შედეგად, „ა“-მ თავის არეში მიიღო დაზიანება, იგი დაეცა და მთლიანად დაემსხვრა 2004 წელს 2.000 ლარად ნაყიდი (მტკიცებულება: შესაბამისი ქვითარი) არმანის საათი.

„ბ“ თავს იცავს 2009 წლის 2 თებერვლის წერილობითი განცხადებით და აცხადებს შემდეგს: მას არ მიუძღვის ბრალი და ვერ აგებს პასუხს ქარიანი ამინდისათვის. გარდა ამისა, იგი საერთოდ არ ცხოვრობს ამ სახლში, არამედ ძირითადად ბათუმშია, ხოლო თბილისის სახლს მისი შვილი პატრონობს. აქამდე სახლთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ ყოფილა. ამას მისი შვილიც („ს“) დაადასტურებს თავისი ჩვენებით.

გარდა ამისა, იგი არ არის სახლის ერთპიროვნული მესაკუთრე, რადგან სახლი მისივე არის და მისი ცოლისაც („ც“) და თუკი პასუხისმგებლობაზე მიდგება საქმე, მას მხოლოდ ნახევარი ოდენობით დაეკისრება იგი.

მისი აზრით, ასევე გათვალისწინებულ უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ დაზიანებული საათი უკვე რამოდენიმე წლის იყო.

2009 წლის დეკემბრიდან „ა“ და „ბ“ დავაში არიან ჩართულები. მას შემდეგ, რაც „ბ“ ზეპირად დაპირდება „ა“-ს, რომ 1.000 ლარს გადაიხდის, „ა“ 2011 წლის 25 სექტემბრის წერილით უკან გაითხოვს სარჩელს.

მას შემდეგ, რაც „ბ“ მიუხედავად თავისი დაპირებისა, არ იხდის თანხას, „ა“ 2012 წლის 20 მარტს კვლავ აღძრავს სარჩელს „ბ“-ს წინააღმდეგ (ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით 2.000 ლარზე, იხ. ზემოთ).

„ბ“ ზემოთ წარმოდგენილი განმარტებებით იცავს ისევ თავს. გარდა ამისა, იგი აცხადებს, რომ 2012 წლის 20 მარტს წარმოდგენილი სარჩელი დაგვიანებულია, რადგან მოთხოვნა უკვე ხანდაზმულია. ინციდენტიდან (2007 წლის 5 მარტი) უკვე თითქმის ხუთი წელია გასული.

აქვს თუ არა „ა“-ს „ბ“-ს მიმართ მოთხოვნის უფლება? არსებითა თუ არა „ა“-ს განმარტებები? არსებითა თუ არა „ბ“-ს საპასუხო განმარტებები?

ამოხსნა:

შესაძლოა „ა“-ს „ბ“-ს მიმართ ჰქონდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. მოთხოვნის საფუძვლად განიხილება სკ-ის 1004-ე მუხლი.

1. გამართულია/დასაბუთებულია თუ არა „ა“-ს მიერ მოყვანილი განმარტებები?

უთითებს „ა“ მოთხოვნის უფლების წარმოშობის წინაპირობებზე?

- (1) „ა“ აცხადებს, რომ „ბ“ არის შენობის მესაკუთრე,
- (2) გარდა ამისა, იგი ამტკიცებს, რომ შენობას მოსწყდა მისი ნაწილი, კერძოდ, სახურავის კრამიტი,
- (3) „ა“ ასევე განმარტავს, რომ წარმოეშვა (ნივთობრივი) ზიანი. კერძოდ, დამსხვრეული საათი.
- (4) ზიანი უნდა დამდგარიყო კრამიტის „მოწყვეტის“ შედეგად.

„ა“ სწორედ ასეთ კაუზალურ კავშირზე მიუთითებს და ამბობს, რომ კრამიტის ჩამოვარდნის შედეგად იგი დაეცა.

შენიშვნა: „ა“ არ არის ვალდებული, რაიმე განაცხადოს ბრალეულობასთან დაკავშირებით!

შუალედური შედეგი:

„ა“-ს განმარტებები გამართულია (დასაბუთებულია) მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის, კერძოდ, სკ-ის 1004-ე მუხლის შესაბამისად. ასევე გამართულად და დასაბუთებულად არის წარმოდგენილი მოთხოვნის ოდენობა – 2.000 ლარი, რომელიც ეყრდნობა საათის ღირებულებას მისი შექმნისას.

2. არსებითა თუ არა „ბ“-ს საპასუხო განმარტებები?

ა) მოთხოვნის საფუძველი

- „ბ“ პასუხობს, რომ პირადად მას ბრალი არაფერში მიუძღვის; მისი ვაჟი უვლის სახლს და ისიც უპრობლემოდ; ამასთან იგი, ანუ „ბ“ არის სახლის თანამესაკუთრე და მის საკუთრებაშია მხოლოდ სახლის ნახევარი – 1/2.
- მოსარჩელის მიერ მითითებულ მოთხოვნის მე-(2)-დან მე-(4) წინაპირობებს „ბ“ საერთოდ არ ედავება.
- სათანადო და საკმარისია თუ არა „ბ“-ს საპასუხო განმარტებები (1)-ლ წინაპირობასთან დაკავშირებით?

„ბ“ აღიარებს, რომ მას სახლის მიმართ გააჩნია მესაკუთრის სტატუსი. ამასთან, მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით მნიშვნელობა არ აქვს, ერთპიროვნული მესაკუთრეა იგი, თუ „მხოლოდ“ თანამესაკუთრე (იხ. სკ-ის 463-ე და 464-ე მუხლები.

„ბ“, როგორც (1/2-ის) თანამესაკუთრე, გარე ურთიერთობაში სრულად აგებს პასუხს წარმოქმნილ ზიანზე.

„ბ“ აცხადებს, რომ მისი ვაჟი „ყოველგვარი პრობლემის გარეშე“ უვლის სახლს. საკმარისია თუ არა აღნიშნული განცხადება?

სკ-ის 1004-ე მუხლის თანახმად, შენობის მესაკუთრეს შეუძლია მიუთითოს, რომ ზიანი არ არის გამოწვეული

აა) შენობის არასათანადო მოვლით

ან

ბბ) შენობის ნაკლით

შენობის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით (აა) „ბ“ მხოლოდ იმას აცხადებს, რომ „აქამდე არანაირი პრობლემა არ წარმოქმნილა“. ეს კი არ არის საკმარისი. „ბ“-ს სულ მცირე ის უნდა ეთქვა, თუ როდის მოხდა ბოლოს სახურავის შემოწმება ან შეკეთება. ამრიგად, მის განცხადებას აკლია აღნიშნული, კონკრეტული ინფორმაცია შენობის სათანადო მოვლასთან დაკავშირებით.

(საკონტროლო შენიშვნა: „ბ“-ს ისედაც მოუწევს შენობის სათანადო მოვლის დამტკიცება; შესაბამისად, მასვე ეკისრება ვალდებულება, მტკიცებამდე დასაბუთებულად, გამართულად მიუთითოს შესაბამის გარემოებებზე! წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფერია წარმოდგენილი, რაზეც უნდა მოხდეს მტკიცებულების ამოღება).

ბბ)-სთან დაკავშირებით (შენობის ნაკლი) „ბ“-ს მართალია შეუძლია ამტკიცოს, რომ ზიანი მაინც დადგებოდა, მაგალითად, განსაკუთრებულად და უჩვეულოდ ძლიერი ავდრის გამო. თუმცა, იგი ამას არ აცხადებს; ის მხოლოდ (ძალზედ ზოგადად) ამბობს, რომ არ არის პასუხისმგებელი ამინდზე, რაც არც ერთ შემთხვევაში არ იქნება საკმარისი.

შუალედური შედეგი:

„ბ“-მ ვერ წარმოადგინა არსებითი შესაგებელი მოთხოვნის საფუძველთან დაკავშირებით.

ბ) მოთხოვნის განხორციელებადობა (ხანდაზმულობის შესაგებელი)

„ბ“ მიუთითებს ხანდაზმულობაზე, რაც არსებითია იმ შემთხვევაში, თუ მისი მიუთითება მართებულია. ხანდაზმულობა დააბრკოლებდა მოთხოვნის უფლების განხორციელებას, იხ. სკ-ის 144-ე მუხლი.

ინციდენტი მოხდა 2007 წლის 5 მარტს. ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, იხ. სკ-ის 1008-ე მუხლი. ვადის ათვლა დამოკიდებულია სკ-ის 130-ე და 1008-ე მუხლებზე. ამასთან, აუცილებელია ცოდნა ზიანისა და ზიანის მიმყენებელი პირის შესახებ.

პირველი სარჩელის შეტანას 2009 წლის 10 აგვისტოს შედეგად მოჰყვა ხანდაზმულობის ვადის შეჩერება სკ-ის 138-ე მუხლის თანახმად. ხანგძლივობა კი განისაზღვრება სკ-ის 139-ე მუხლით.

აქ გასათვალისწინებელია ის თავისებურება, რომ „ა“-მ 2011 წლის 25 სექტემბერს უკან გაიხმო სარჩელი და 2012 წლის 20 მარტს ისევ აღძრა იგი სასამართლოში. სკ-ის 140-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვადა შეჩერებულია, ვინაიდან ხელახალი სარჩელის აღძვრა მოხდა ნ თვის განმავლობაში.

შუალედური შედეგი:

ხანდაზმულობის შესაგებელი უშედეგოა და შესაბამისად, არაარსებითი.

გ) მოთხოვნის ოდენობა

„ა“ ითხოვს ზიანის ანაზღაურებას 2.000 ლარის ოდენობით.

„ბ“ აცხადებს, რომ გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ „ა“-ს დაზიანებულის საათი უკვე რამოდენიმე წლისაა (ნაყიდა 2004-ში, ანუ 2004-დან 2012-მდე).

ზიანის ანაზღაურების სამართალში – სკ-ის 408-ე და მომდევნო მუხლები – მოქმედებს ზიანის ნატურით ანაზღაურების პრინციპი, ანუ პირვანდელი მდგომარეობის (ზიანის გამომწვევე მოვლენამდე) აღდგენის მოთხოვნა.

მოცემულ შემთხვევაში ეს არ გამოდის, რადგან, როგორც აღნიშნულია, საათი დაიმსხვრა და ვერ შეკეთდება. ამრიგად, ზიანი ფულადი სახით უნდა ანაზღაურდეს, იხ. სკ-ის 409-ე მუხლი. ზიანის ოდენობა გამომდინარეობს სკ-ის 412-ე და 414-ე მუხლებიდან..

გასარკვევია, თუ რა იყო საათის ღირებულება მისი დაზიანებისას.

ყოველდღიური მოხმარების ნივთების მიმართ არსებობს ვარაუდი, რომ ისინი ღირებულებას კარგავენ ხმარების ანუ ცვეთის შედეგად.

თუმცა, აღნიშნული შეიძლება არ ვრცელდება ძვირფას საათზე, რომელთა ღირებულებაც დროთა განმავლობაში პირიქით მატულობს.

ახსნა-განმარტებები ამ ეტაპზე არასათანადოა. ღირებულების კლება ვერ მიიჩნევა მოცემულად.

(შენიშვნა: მოსამართლე მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეს მიუთითებს, რომ მისი განმარტებები საათის ფასის შემცირებასთან დაკავშირებით არასაკმარისია.)

3. დასკვნა:

სარჩელი ალბათ წარმატებული იქნება. „ა“-ს განმარტებები გამართული და დასაბუთებულია: იგი ამართლებს ზიანის ანაზღაურებას 2.000 ლარის ოდენობით სკ-ის 1004-ე და 409-ე მუხლების შესაბამისად.

(შესაძლოა არსებითი გახდეს „ბ“-ს შესაგებელი ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით, თუკი „ბ“ მოსამართლის მითითების საფუძველზე სათანადოდ დააკონკრეტებს/დააზუსტებს მას).

კაზუსი N 7 („ბუტიკის“ შექმნა):

მოსარჩელემ („მ“) 2012 წლის 10 სექტემბერს ქალბატონ „კ“-ს (რომელიც მოპასუხე „ბ“-ს ქალიშვილია) 50.000 ლარად მიყიდა თბილისში მდებარე „ბუტიკი“ თავისი ინვენტარით (წარმოდგენილი დოკუმენტი: წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება – დამოწმებული ნოტარიუსის მიერ).

ქალბატონმა „კ“-მ მაღაზიის გადაცემისას შეთანხმებისამებრ გადაიხადა 20.000 ლარი, ხოლო დანარჩენი თანხა მას ხელშეკრულების თანახმად უნდა დაეფარა 2012 წლის პირველ დეკემბრამდე, რაც არ შეუსრულებია.

რადგან მოსარჩელე ახლოს არ იცნობდა ქალბატონ „კ“-ს, მან მოითხოვა რაიმე უზრუნველყოფა, რაც მიიღო კიდეც მოპასუხისგან (ანუ, „კ“-ს მშობლისგან) 2012 წლის 11 სექტემბერს. მოპასუხემ („ბ“) წერილობით დააფიქსირა შემდეგი (წარმოდგენილი დოკუმენტი: წერილობითი ხელშეკრულება):

„მე მინდა ავიღო პასუხისმგებლობა ჩემი ქალიშვილის ვალდებულებაზე (დარჩენილ ნაწილზე) 30.000 ლარის ოდენობით. თუ ჩემი შვილი აღნიშნულ თანხას ვერ დაფარავს 2012 წლის პირველ დეკემბრამდე, მოსარჩელეს შეუძლია მე მომთხოვოს მისი გადახდა.“

ამრიგად, მოსარჩელე მოპასუხისაგან ითხოვს დარჩენილი თანხის გადახდას.

მოპასუხე აცხადებს, რომ მოსარჩელეს 10 ყუთი ტანსაცმელი განთავსებული ჰქონდა მისი „ბუტიკის“ სარდაფში, რის გამოც მათ ობის სუნი ასდით, რამაც საბოლოო ჯამში მათი გასაყიდი ფასი თავდაპირველად განსაზღვრული 3.000 ლარის ნაცვლად, 1.500 ლარი, ანუ ნახევარი შეადგინა. დანარჩენ 15 ყუთში კი, მითითებული ინფორმაციისაგან განსხვავებით, არ იყო განთავსებული ძვირფასი ტანისამოსი, ანუ ე.წ. „ბრენდები“. ტანსაცმელზე მიკერილი ეტიკეტები ყალბი აღმოჩნდა, ნაწარმი კი – ჩინეთში დამზადებული იაფფასიანი საქონელი, რომლის ფასი მითითებული 20.000 ლარის ნაცვლად სულ რაღაც 100 ლარს შეადგენდა.

მოპასუხე აცხადებს, რომ მოსარჩელემ იგი გაყალბებული ეტიკეტების საფუძველზე მოატყუა.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოსარჩელე პასუხობს, რომ ქ-ნმა „კ“-მ იცოდა მემოთხსენებული 10 ყუთის სარდაფში განთავსების შესახებ, რაც მისთვის საგსებით მოსალოდნელს ხდიდა, ევარაუდა, რომ მათ შეიძლება უსიამოვნო სუნი ჰქონოდათ. ხოლო რაც შეეხება გაყალბებული ეტიკეტების (ანუ დანარჩენ 15 ყუთს), ამის შესახებ მან ნამდვილად არაფერი იცოდა და იგი (მოსარჩელე) აქ აშკარად თვითონ მოატყუეს მისმა მიმწოდებლებმა, რადგან მან გაყალბება ვერ შეამჩნია.

გარდა ამისა, მოსარჩელე დასძენს, რომ მხარეებმა ხელშეკრულებით გამორიცხეს ნებისმიერი სახის პასუხისმგებლობა ამ ტანსაცმელთან დაკავშირებით

(იხ. თანდართული ხელშეკრულება). მოპასუხემ და მისმა ქალიშვილმა უნდა მიმართონ საწარმო „მოდერნის“ მეპატრონეს, რომელმაც აშკარად მოატყუა მოსარჩელე და საბოლოო ჯამში, თვითონ მოპასუხის ქალიშვილიც.

შუამდგომლობა მტკიცებულების თაობაზე არ დაყენებულა.

აქვს თუ არა მოსარჩელეს მოპასუხის მიმართ მოთხოვნის უფლება?

ამოხსნა:

„მ“-ს „ბ“-ს მიმართ შესაძლოა ჰქონდეს ნივთის ფასის დარჩენილი ნაწილის მოთხოვნის უფლება 30.000 ლარის ოდენობით სკ-ის 891-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

1. „მ“-ს განმარტებების დასაბუთებლობა:

სკ-ის 891-ე მუხლის პირველი ნაწილის წინაპირობებია:

- (1) ნამდვილი თავდებობა სკ-ის 892-ე მუხლის შესაბამისად
- (2) ნამდვილი ნასყიდობა „მ“-სა და „ბ“-ს ქალიშვილს შორის სკ-ის 477-ე მუხლის თანახმად
- (3) მოთხოვნის უფლება ნივთის ფასის დარჩენილი ნაწილის გადახდისათვის სკ-ის 893-ე მუხლის შესაბამისად (აქცესორულობა)
- (4) ქალიშვილის მხრიდან თანხის ნაწილის გადაუხდელობის პირდაპირი ან კონკლუდენტური დადასტურება (არ-შედავება)

შუალედური შედეგი:

„მ“-ს ახსნა-განმარტებები საკმარისი და სათანადოა, ვინაიდან მან (1) გააფორმა წერილობითი ხელშეკრულება „ბ“-სთან თავდებობის შესახებ, (2) მასა და „ბ“-ს ქალიშვილს შორის დადებულია ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება, (3) ფასის დარჩენილი/გადაუხდეელი ნაწილი სახეზეა, (4) საქმეში არაფერია ნათქვამი მოპასუხის ქალიშვილის მხრიდან ფასის შემცირების მოთხოვნაზე სკ-ის 492-ე მუხლის მიხედვით.

2. „ბ“-ს შესაგებლის არსებითობა შეთანხმებულ ფასთან დაკავშირებით:

ა) „კ“ არ ედავება „მ“-ს ფასთან დაკავშირებით.

ბ) საკუთარი „პრეტენზიები“:

- „ბ“ აცხადებს, რომ 1.500 ლარის ტანსაცმელი დაობებული იყო: აღნიშნული სკ-ის 893, 492-ე, 488-ე და 489-ე მუხლებიდან გამომდინარე (ფასის შემცირება) არსებითია,
- „ბ“ აცხადებს, რომ 20.000 ლარის ღირებულების ტანსაცმელზე განთავსებულია ყალბი ეტიკეტები.

აღნიშნულიც არსებითია სკ-ის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის, 84-მუხლის და მე-900 მუხლისა (შეცილება) და ასევე 83-ე მუხლის მიხედვით. დაცულია ასევე სკ-ის 84-ე მუხლით გათვალისწინებული შეცილების ვადაც (1 წელი).

შუალედური შედეგი:

მოპასუხის განმარტებები (შესაგებელი) აბსოლუტურად არსებითია.

3. მოპასუხის შესაგებელზე მოსარჩელის პასუხის არსებითობა:

ა) ფასის შემცირებასთან დაკავშირებით:

„მ“ აცხადებს, რომ სარდაფში განთავსებული ტანსაცმელი არ არის ნაკლის მქონე, რადგან ის შეესაბამებოდა ნივთის შეთანხმებულ მდგომარეობას.

ყალბი ეტიკეტების მქონე ტანსაცმელზე „მ“ აცხადებს, რომ აქ მხარეთა შეთანხმებით გამორიცხული იყო ყოველგვარი პასუხისმგებლობა.

ბ) შეცილებასთან დაკავშირებით:

„მ“ უარყოფს მის მიერ მოპასუხის მოტყუების ფაქტს. იგი აცხადებს, რომ მან არც იცოდა და არც შეეძლო რომ სცოდნოდა ეტიკეტების სიყალბის შესახებ.

შუალედური შედეგი:

„მ“-ს პასუხი არსებითია, როგორც ფასის შემცირების, ისევე შეცილების ნაწილშიც.

4. „ბ“-ს რეპლიკა:

„ბ“ თვლის, რომ პასუხისმგებლობის გამორიცხვის შეთანხმება ბათილია ნივთის ნაკლის განზრახ დამალვის გამო (სკ-ის 497-ე მუხლი).

5. მტკიცების სტადია

შუამდგომლობები მტკიცებულებების თაობაზე წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, გადაწყვეტილება მიიღება მტკიცების ტვირთის მიხედვით. აღნიშნული კი ნიშნავს შემდეგს:

ა) მოთხოვნა არსებობს, ვინაიდან მისი წინაპირობები გამომდინარეობს თავდებობისა და ნასყიდობის ხელშეკრულებებიდან.

ბ) „ბ“-ს შესაგებელი ფასის შემცირებასთან დაკავშირებით:

აა) სარდაფში განთავსებულ ტანსაცმელთან დაკავშირებით მოპასუხეს ევალება ნაკლის მტკიცება. ვინაიდან უდავო გარემოებაა, რომ ნასყიდობის გაფორმებისას „კ“-ს ეცნობა იმის შესახებ, რომ ტანსაცმელი უკვე გარკვეული პერიოდია ინახება სარდაფში, ეს იმას ნიშნავს, რომ შეთანხმების მომენ-

ტისათვის ცნობილი იყო ნივთის აღნიშნული (უარყოფითი) თვისობრიობა. ამრიგად, ნივთის მდგომარეობა არ იხრება მხარეთა შეთანხმებისგან.

ბბ) ყალბი ეტიკეტის მქონე ტანსაცმელთან დაკავშირებით:

(1) აქ ფასის შემცირების მოთხოვნას უპირისპირდება ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის გამორიცხვა.

(2) გარიგების მოტყუებით დადება, რომელიც გააბათილებდა შეთანხმებას პასუხისმგებლობის გამორიცხვის თაობაზე, სადავოდ გახადა „მ“-მ და „ბ“-ს არ წარმოუდგენია აღნიშნულთან დაკავშირებით მტკიცებულება.

შუალედური შედეგი:

„ბ“-ს არ აქვს ფასის შემცირების უფლება.

გ) შეცილების შესაგებელი:

აა) გარიგების მოტყუებით დადება სადავოდ გახადა „მ“-მ და ვერ დამტკიცდა „ბ“-ს მიერ.

ბბ) მართალია, მოტყუება მესამე პირის („მ“-ს მომწოდებლის) მიერ სადავო არ არის, მაგრამ ასეთ შემთხვევაში შეცილების წინაპირობა დგება, თუ „მ“-მ იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამის შესახებ (იხ. სკ-ის 83-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტი). აღნიშნული სუბიექტური გარემოება (ანუ, „მ“-ს მიერ ნაკლის ცოდნის შესაძლებლობა) ვერ დამტკიცდა „ბ“-ს მიერ.

შუალედური შედეგი:

არც „ბ“-ს ქალიშვილს (ანუ „კ“-ს) და შესაბამისად, არც „ბ“-ს არ აქვს ხელშეკრულების შეცილების უფლება.

6. საბოლოო დასკვნა:

სარჩელი ნივთის ფასის დარჩენილი ნაწილის გადახდაზე წარმატებულია.

კაზუსი N 8 (დამტვრეული ველოსიპედი):

ვაჭარი „ვ“ 2012 წლის 9 დეკემბერს უთანხმდება და ფასის (2.000 ლარი) ნაღდი სახით გადახდის შემდეგ საკუთრებაში გადასცემს 16 წლის „ბ“-ს თავის ველოსიპედს. მომდევნო დღეს „ბ“ წვეულების შემდეგ ჯდება ველოსიპედზე და სახლისკენ მოდის. იგი გზაში იმტვრევა, რის შედეგადაც ველოსიპედი ზიანდება და მისი ფასი შეადგენს მხოლოდ 100 ლარს, ფაქტიურად ჯართის ფასს.

მშობლები მხოლოდ ამ ინციდენტის შემდეგ იგებენ შენაძენის შესახებ და წერილობით ატყობინებენ „ვ“-ს, რომ არ ეთანხმებიან მათ გარიგებას. ისინი ითხოვენ „ვ“-სგან ნივთის ფასის უკან დაბრუნებას, რისთვისაც განუსაზღვრავენ მას ვადას 2013 წლის 30 იანვრამდე. „ვ“ არ აბრუნებს თანხას.

2013 წლის თებერვალში მშობლები „ბ“-ს სახელით აღძრავენ სარჩელს და „ვ“-სგან ითხოვენ დამტვრეული ველოსიპედის დაბრუნების სანაცვლოდ გადახდილი 2.000 ლარის დაბრუნებას.

„ვ“ აცხადებს, რომ მან „ბ“ სრულწლოვანად მიიჩნია („მას დიდის შეხედულება ჰქონდა“); გარდა ამისა, მან ჩათვალა, რომ „ბ“ თავისი კუთვნილი ჯიბის ფულით ყიდულობდა ველოსიპედს და ამრიგად ნასყიდობა იმთავითვე ნამდვილად მიიჩნია.

ყოველ შემთხვევაში, მას აქვს ველოსიპედის დამტვრეული გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება და აცხადებს ურთიერთმოთხოვნათა გაქცივის შესახებ 1.900 ლარის ოდენობით.

მშობლები პასუხობენ, რომ ისინი „ბ“-ს არ აძლევენ ჯიბის ფულს; მას თანხა მშობლების საფულიდან ჩუმად ჰქონდა აღებული 2012 წლის 8 დეკემბერს.

„ვ“ მიუგებს მშობლებს, რომ მათი მოვალეობა იყო, უკეთ დაეცვათ თავიანთი ფული შვილისაგან.

აქვს თუ არა „ვ“-ს წინააღმდეგ აღძრულ სარჩელს 2.000 ლარის დაბრუნების მოთხოვნით (ველოსიპედის დაბრუნების სანაცვლოდ) წარმატების პერსპექტივა?

ამოხსნა:

„ბ“-ს (წარმოდგენილს თავისი მშობლების მიერ) შესაძლოა „ვ“-ს მიმართ ჰქონდეს ბათილი ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემულის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის ა) ქვეპუნქტის საფუძველზე.

1. მოსარჩელის ახსნა-განმარტებების დასაბუთებულობა (გამართულობა)

სკ-ის 976-ე მუხლის წინაპირობაა, რომ „ბ“-ს რაიმე უნდა გადაეცა „ვ“-სთვის, რისი ვალდებულებაც ა(ღა)რ უნდა არსებობდეს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელის განმარტებები გამართულია, ვინაიდან 2012 წლის 9 დეკემბერს დადებულმა ნასყიდობამ სკ-ის ნ3-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ვერ შეიძინა ნამდვილობა. შეთანხმებისას „ბ“ იყო 16 წლის, ანუ არასრულწლოვანი. ხელშეკრულება არ იყო მისთვის მხოლოდ სამართლებრივი სარგებლის მომტანი. მშობლებმა კი არ მოიწონეს იგი.

2. „ვ“-ს შესაგებლის არსებითობა

„ვ“ აცხადებს, რომ:

- ა) მან სრულწლოვანად ჩათვალა „ბ“,
- ბ) „ბ“-მ თავისი საკუთარი „ჯიბის ფულით“ იყიდა ველოსიპედი,
- გ) იგი ქვითავს სასარჩელო მოთხოვნას თავის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან, რომელიც გამოწვეულია ველოსიპედის, ანუ ნასყიდობის საგნის განადგურებით.

პირველი შესაგებელი – ა) – არ არის არსებითი. კანონი არ იცავს „ვ“-ს ნდობას „ბ“-ს სრულწლოვანების მიმართ. აქ „ვ“ თავისი პასუხისმგებლობით (რისკით) მოქმედებს. თავის დაზღვევის მიზნით, მას ყოველთვის შეუძლია, მოსთხოვოს კონტრაჰენტს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

მეორე შესაგებელი – ბ) – არსებითია სკ-ის ნ5-ე მუხლიდან (ემანსიპაცია) გამომდინარე. ამ მუხლის თანახმად, ნასყიდობა იქნებოდა ნამდვილი, თუ არასრულწლოვანმა ფასი გადაიხადა იმ თანხით, რომელიც მას თავისუფალი განკარგვისათვის გადაეცა მშობლებისაგან.

მესამე შესაგებელი – გ) – „ვ“-ს შეგებებული მოთხოვნის წარმოშობა ნასყიდობის ნივთის განადგურების გამო, არ არის არსებითი სკ-ის 979-ის საფუძველზე, რადგან არასრულწლოვანთა შემთხვევებში მათი ინტერესების დაცვა აღემატება კანონის ზემოხსენებულ დანაწესს (შდრ. სკ-ის 979-ე მუხლის მე-4 ნაწილი). ანუ „ფაქტობრივმა სინალაგამამ“ არ შეიძლება არასრულწლოვანი აქციოს ე.წ. „კვაზი-კონტრაჰენტად“.

შუალედური შედეგი:

არსებითია მხოლოდ მეორე -ბ)- შესაგებელი.

3. მოპასუხის შესაგებელზე (-ბ)- მოსარჩელის პასუხის არსებითობა:

მოსარჩელე აცხადებს, რომ ნივთის საფასური არ დაფარულა თავისუფლად განსაკარგავი თანხიდან (ჯიბის ფულიდან); ფული „ბ“-ს მშობლებისგან ჰქონდა მოპარული.

აღნიშნული არსებითია, ვინაიდან უპირისპირდება ემანსიპაციას სკ-ის ნ5-ე მუხლის გაგებით.

4. „ვ“-ს პასუხი მოპარულ ფულთან დაკავშირებით

„ვ“ არ ხდის სადავოდ „ბ“-ს მიერ მშობლებისთვის ფულის მოპარვის ფაქტს, რითიც უდავოა ის გარემოება, რომ ნივთის ფასის გადახდა არ განხორციელებულა ჯიბის ფულიდან. ამით გამოირიცხება სკ-ის ნ5-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა და დგება სკ-ის ნ3-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი: მოწონებაზე უარის გამო ნასყიდობამ ვერ შეიძინა ნამდვილობა.

5. დასკვნა:

„ბ“-ს (წარმოდგენილს თავისი მშობლების მიერ) აქვს უფლება მოსთხოვოს „ვ“-ს 2.000 ლარის უკან დაბრუნება ველოსიპედის დაბრუნების სანაცვლოდ.

ამასთან, „ბ“-ს შეუძლია 979-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე, „ვ“-ს დაუბრუნოს გაფუჭებული ველოსიპედი (ჯართი). „ბ“-თვის არასრულწლოვანებიდან გამომდინარე, არ არსებობს რაიმე სახის ანაზღაურების ვალდებულებები; ამ მხრივ, განსაკუთრებულად არის დაცული არასრულწლოვანის ინტერესები.

კაზუსი N 9 (სესხის თანხის დაბრუნება):

მოსარჩელე ითხოვს სასესხო თანხის დაბრუნებას 9.446 ლარის ოდენობით, რომელიც მან გადასცა მოპასუხეს.

2010 წლის 9 ოქტომბერს მოსარჩელემ მოპასუხისაგან მიიღო წერილობითი განცხადი კერძო უპროცენტო სესხის თაობაზე 15.100 ლარზე.

თანხა 50 ნაწილად უნდა დაბრუნებულიყო უკან და მოხმარებოდა მანქანის შეძენას (ოპელ ასტრა), რომელსაც ყიდდა მანქანებით მოვაჭრე „დ“. სწორედ „დ“-მ გადაუგზავნა განცხადება მოსარჩელესაც, რომელსაც თან დაურთო ცნობა მოპასუხის შემოსავლის შესახებ და მანქანაზე გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება.

ამის შემდეგ, 2010 წლის 15 ოქტომბერს, მოსარჩელემ „დ“-ს გადაურიცხა აღნიშნული თანხა.

მოპასუხე 2012 წლის მარტის ჩათვლით ფარავდა ყოველთვიურ შენატანს. მაგრამ იმავე წლის აპრილში მან განაცხადა, რომ შეაჩერა ყოველგვარი გადახდა და აქამდე გადახდილი თანხაც უკან მოითხოვა. აღნიშნული მან დაასაბუთა იმით, რომ საერთოდ არ შემდგარა ნამდვილი გარიგება სესხთან დაკავშირებით, რადგან მან სასესხო განაცხადს მხოლოდ შემდეგი გარემოებების გამო მოაწერა ხელი:

იგი, ანუ მოპასუხე, იყო „დ“-ს „ავტოჰაუსის“ კლიენტი; მას გამოეღაპარაკა „დ“ და დახმარება სთხოვა. საქმე კი შემდეგში მდგომარეობდა: „დ“-ს ჰყავდა კლიენტი „ფ“, რომელსაც სურდა „დ“-სგან მანქანის ყიდვა, მაგრამ ბანკებისგან ვერ იღებდა შესაბამის დაფინანსებას. „დ“-მ მოპასუხეს მიუთითა მოსარჩელეზე და უთხრა, რომ იცნობდა მას და მისგან შესაძლებელი იყო კრედიტის მიღება, თუმცა, არა „ფ“-ს სა-

ხელზე, ვინაიდან „ფ“ უმუშევარი იყო. ამიტომაც მან სთხოვა მოპასუხეს, რომელსაც სტაბილური სამუშაო და შემოსავალი ჰქონდა, „ფ“-ს მაგივრად გაფორმებულიყო მსესხებლად. ყველაფერ დანარჩენს კი „დ“ და „ფ“ მიხედვდნენ, განსაკუთრებით კი – სასესხო თანხის დროულ დაბრუნებას ყოველთვიური შენატანების სახით, რომელსაც ისინი მოპასუხეს გადაურიცხავდნენ.

მხოლოდ „დ“-ს დაჟინებითი თხოვნით მოაწერა ხელი მოპასუხემ სასესხო ხელშეკრულებას. მისი აზრით, თუკი საერთოდ შეიძლება საუბარი იყოს ხელშეკრულებაზე, მას საფუძვლად უდევს ტიპური მოჩვენებითი გარიგება, რის გამოც ხელშეკრულება ვერ იქნება ნამდვილი. ამასთან, მას მოსარჩელისთვის არც კი გაუგზავნია ოფერტი ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, იგი თავად ხდის საცილოდ გარიგებას მოტყუების გამო, რაც მან წერილობით აცნობა მოსარჩელეს 2012 წლის 18 აპრილს. 2012 წლის გამაფხულზე მან (ანუ, მოპასუხემ) სამწუხაროდ დაადგინა, რომ „დ“-მ და „ფ“-მ იგი მოატყუეს და არც კი ჰქონიათ განზრახული სესხის დაფარვის მიზნით მისთვის გადაეხადათ ყოველთვიური შენატანის თანხა.

მოსარჩელემ მისი წერილის პასუხად მოპასუხეს მოსთხოვა დარჩენილი თანხის სრულად გადახდა მას შემდეგ, რაც მოპასუხე აშკარად არ აპირებდა მისთვის სესხის დაბრუნებას.

აქვს თუ არა მოსარჩელეს მოთხოვნის უფლებები მოპასუხის მიმართ?

ამოხსნა:

მოთხოვნის უფლება შესაძლოა გამომდინარეობდეს სკ-ის 623-ე მუხლით გათვალისწინებული სასესხო ხელშეკრულებიდან.

1. მოსარჩელის ახსნა-განმარტებების დასაბუთებულობა

- ა) სასესხო ხელშეკრულება ნამდვილია, (იხ.სკ-ის 327-ე მუხლი):
 - აა) ხელშეკრულებას წინ უძღვოდა მოპასუხის ოფერტი (სკ-ის 51-ე მუხლის პირველი ნაწილი, სკ-ის 329-ე მუხლის პირველი ნაწილი), რომელიც გადაეცა მანქანებით მოვაჭრე „დ“-ს. მან კი, როგორც შუამავალმა, სკ-ის მე-80 მუხლის (და არა 103-ე მუხლის) შესაბამისად გადაამისამართა იგი მოსარჩელესთან. მოპასუხისთვის ასევე მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ „დ“ მოსარჩელეს გადაუგზავნიდა ასევე ხელმოწერილ სასესხო ხელშეკრულებას.
 - ბბ) უდავოა, რომ მოპასუხის ოფერტი ჩაბარდა მოსარჩელეს.
 - გგ) ოფერტის მიღება/აქცეპტი მანქანებით მოვაჭრე „დ“-სთვის ოფერტი ყველაზე გვიან მიღებულ იქნა თანხის გაცემით.

(შენიშვნა: შესაძლებელია ასევე არგუმენტირება, რომ ოფერტი განხორციელდა მოსარჩელემ თანხის გაცემით და აქცეპტი განხორციელდა უკვე პირველი შენატანით).

დდ) დროული აქცეპტი

აქცეპტი განხორციელდა დროულად სკ-ის 330-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად (ოფერტი დათარიღებულია 09.10.2010 – ით და თანხის გაცემა მოხდა 15.10.2010-ში).

ბ) მოთხოვნის ვადამოსულობა სკ-ის 627-ე მუხლისა და 399-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით:

აა) გადასახდელია (ვადამოსულია) მხოლოდ რვა შენატანი თითო 302 ლარის ოდენობით (2012 წლის აპრილიდან ნოემბრამდე), სულ 2.416 ლარი;

ბბ) ხელშეკრულების მოშლა 2012 წლის 9 ივნისს (ჩაბარდა 14 ივნისს):

მოშლის საფუძველი (სკ-ის 626-ე მუხლი: სამი შენატანის განუხორციელებლობა, უარი გადახდაზე და გადახდილის უკან დაბრუნების მოთხოვნა; სკ-ის 399-ე მუხლის მე-2 ნაწილი: აქ ვადის დადგენის აუცილებლობა აღარ დგას, ვინაიდან ხელშეკრულებას შლის მოპასუხე.

გგ) ოდენობა: ჯერ კიდევ გადასახდელი სესხის რაოდენობა 9.446 ლარი არ არის სადავო.

გ) შუალედური შედეგი

სასარჩელო განაცხადი გამართულია (დასაბუთებულია).

2. მოპასუხის შესაგებლის არსებითობა:

2.1. მოჩვენებითი გარიგება სკ-ის 56-ე მუხლის 1 ნაწილის შესაბამისად?

„ბ“ მიიჩნევს, რომ სახეზეა მოჩვენებითი გარიგება.

აღნიშნული არ არის არსებითი სამართლებრივი თვალსაზრისით, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში გარიგება არ დადებულია მხოლოდ მოჩვენებითად, არამედ მას უნდა მოჰყოლოდა სამართლებრივი შედეგები.

2.2. თვალთმაქცური გარიგება: არ არის სახეზე

2.3. ნამდვილი შეცილება სკ-ის 81-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 83-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით?

ა) შეცილების შესახებ შეტყობინება განხორციელდა (ან 18.04.2012-ის წერილით ან გეპირად 18.08.2012-ში),

ბ) დაცულია ასევე ერთწლიანი ვადა სკ-ის 84-ე მუხლის შესაბამისად: ნების გამოვლენა დათარიღებულია 25.07.2011-ით; მოტყუება ცხადი გახდა 2012 წლის

გაზაფხულზე (სკ-ის 84-ე მუხლის მე-2 წინადადება); შეცვლება განხორციელდა ყველაზე გვიან 18.04.2012-ში. ამრიგად, ვადა დაცულია.

- გ) მოტყუებასთან დაკავშირებით – აქ: მითითება არარეალურ სამართლებრივ ვითარებაზე (კერძოდ, ის, რომ ნების გამოვლენა მოხდა მხოლოდ მოჩვენებით და ამრიგად, არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს).
- დ) მაგრამ მოტყუებას ადგილი ჰქონდა არა მოსარჩელის, არამედ „მესამე პირის“, ანუ ავტოჰაუსის წარმომადგენლის მხრიდან.

სკ-ის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ მაშინ, როდესაც მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა მოტყუების შესახებ.

ავტოჰაუსის წარმომადგენელი არ მოიაზრება მოსარჩელის „ბანაკში“ (ე.წ. ბანაკის თეორია). იგი არც მისი წარმომადგენელია და არც დამხმარე პირი, ან მუშაკი. სხვაგვარად იქნებოდა საქმე, თუ პრაქტიკაში უკვე რამდენჯერმე განხორციელდა ავტოჰაუსის წარმომადგენელსა და მოსარჩელეს შორის მსგავსი გარიგებები. საქმის ფაბულა ამის შესახებ არანაირ მითითებას არ შეიცავს.

ამასთან, უდავოდ დარჩა მოსარჩელის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ მან არაფერი იცოდა აღნიშნული მოტყუების შესახებ.

2.4. ოდენობა სადავო არ არის

3. საბოლოო დასკვნა

მოპასუხის შესაგებელი არ არის არსებითი. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდება სრულად.

კაზუსი N 10 (სადავო ბეჭედი):

„კ“ 1995 წლიდან ფლობს ბეჭედს, რომელსაც 2010 წელს გადასცემს „დ“-ს და სთხოვს მას მეორე დღესვე მიაწოდოს იგი მის მახლობლად მცხოვრებ ადვოკატ „ა“-ს. ბეჭედი გათვალისწინებულია „კ“-ს მიმართ არსებული „ა“-ს მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნად.

„დ“ იღებს ბეჭედს და „ა“-ს მაგივრად გადასცემს „ბ“-ს, რომელსაც თვითონ „დ“-ს მიმართ აქვს სასესხო თანხის დაბრუნების მოთხოვნა 4.300 ლარის ოდენობით.

„ბ“-მ კარგა ხნის წინ მოსთხოვა „დ“-ს რაიმე სახის (სანივთო ან თავდებობა) უზრუნველყოფა სესხიდან გამომდინარე მოთხოვნასთან დაკავშირებით და სიამოვნებით მიიღო კიდევ ამ ბეჭდის სახით.

შესაბამისად, სარჩელით „კ“ „ბ“-სგან ითხოვს ბეჭდის დაბრუნებას, რასაც წინ უძღოდა დამატებითი ვადის განსაზღვრა (თუმცა უშედეგოდ) და განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ „კ“ 1995 წლიდან არის ბეჭდის მესაკუთრე და რომ „დ“-ს არანაირი უფლება არ ჰქონდა გადაეცა იგი „ბ“-სთვის. გარდა ამისა, „კ“-ს ჰქონდა ინფორმაცია, რომ „დ“-ს „ბ“-სთვის უკვე დაებრუნებინა ნასესხები თანხა.

ამაზე „ბ“ აცხადებს, რომ იგი ედავება იმ ფაქტს, რომ „კ“ არის ბეჭდის მესაკუთრე, ვინაიდან მისი ინფორმაციით „კ“-მ ბეჭედი 2009 წელს თავის პარტნიორ ქალბატონს აჩუქა. გარდა ამისა, „კ“ ვერ მოსთხოვდა მას („ბ“-ს) ბეჭდის დაბრუნებას, რადგან მას ნივთზე, როგორც უზრუნველყოფის საგანზე გააჩნდა უფლება. „დ“-მ ბეჭდის გადაცემისას გარკვევით განუმარტა „ბ“-ს, რომ იგი იყო ნივთის მესაკუთრე. რაც შეეხება სესხს, „ბ“-ს იგი ჯერ არ დაუბრუნებია.

ექნება თუ არა „კ“-ს სარჩელს „ბ“-ს მიმართ წარმატების პერსპექტივა, თუ მხარეები მხოლოდ აღწერილობით ნაწილში (ფაბულაში) მითითებულ მტკიცებულებებს წარმოადგენენ?

ამოხსნა:

შესაძლოა „კ“-ს „ბ“-ს წინააღმდეგ ჰქონდეს ბეჭდის დაბრუნების მოთხოვნის უფლება სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე.

1. „კ“-ს განმარტებების დასაბუთებულობა (გამართულობა):

სახეზეა თუ არა სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები?

- (1) „კ“-ს უნდა შეეძინა საკუთრება; ამისათვის სახეზე უნდა იყოს ნამდვილი გარიგება, აქ: ნასყიდობა ბეჭედზე (სკ-ის 186-ე მუხლის მიხედვით),
- (2) „ბ“ უნდა იყოს ნივთის მფლობელი,
- (3) „ბ“-ს არ უნდა ჰქონდეს ფლობის უფლება

შუალედური შედეგი:

„კ“-ს განმარტებები საკმარისია (სათანადოა), ვინაიდან (1) იგი უთითებს თავის საკუთრების უფლებაზე, (2) ამასთან, უდავოა „ბ“-ს ბეჭდის ფლობა და (3) არაფერს აღნიშნავს „ბ“-ს მიერ ნივთის ფლობის უფლებაზე.

2. „ბ“-ს შესაგებლის არსებითობა „კ“-ს მესაკუთრეობასთან დაკავშირებით:

- (1) „ბ“ აცხადებს, რომ „კ“-ს არ შეუძენია საკუთრება,
- (2) „ბ“ ასევე აცხადებს, რომ „კ“-მ დაკარგა საკუთრება ბეჭედზე, მის მეგობარ ქალბატონზე გაჩუქების შედეგად.

შუალედური შედეგი: „ბ“-ს ახსნა-განმარტებები (შესაგებელი) საკუთრების უფლების შექენასთან დაკავშირებით არსებითია როგორც (1) პუნქტთან, ისე (2) პუნქტთან მიმართებაში.

3. „ბ“-ს შესაგებლის არსებითობა ფლობის უფლებასთან დაკავშირებით:

წარმოეშვა თუ არა „ბ“-ს გირავნობის შედეგად ბეჭდის ფლობის უფლება სკ-ის 254-ე და მომდევნო მუხლების 172-ე მუხლის პირველი ნაწილთან კავშირში?

გირავნობის შექენის წინაპირობებს განსაზღვრავს კანონი (სკ-ის 254-ე მუხლი და 257-ე მუხლის პირველი ნაწილი):

- (1) მხარეთა შეთანხმება,
- (2) მფლობელობის გადაცემა „ბ“-სთვის „დ“-ს მიერ:
- (3) „დ“-ს უფლებამოსილება

წინაპირობები (1) და (2) სახეზეა.

- მესამე წინაპირობა, ანუ (3) არ არის მოცემული, ვინაიდან „დ“-ს არ ჰქონდა „ბ“-სთვის ბეჭდის გირავნობით გადაცემის ლეგიტიმაცია!
- თუმცა აღნიშნული ლეგიტიმაციის არქონა შესაძლოა დაძლეულ იქნას 186-ე მუხლის პირველი ნაწილის, კერძოდ, კეთილსინდისიერი შექენის ანალოგიით.
- აღნიშნულის წინაპირობებია, რომ:
 - (1) „ბ“ ვარაუდობდა, რომ „დ“ იყო ბეჭდის მესაკუთრე,
 - (2) ნივთი არ უნდა იყოს მოპარული ან დაკარგული სკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით.

წინაპირობა (1) მოცემულია.

საკითხავია, სახეზეა თუ არა „მოპარვა“ ან „დაკარგვა“.

ნივთის დაკარგვის ვარაუდისთვის გადამწყვეტია:

- (1) იყო თუ არა „დ“ უშუალო მფლობელი სკ-ის 155-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით ან

(2) იყო თუ არა იგი ნივთის სხვა პირის სასარგებლოდ მფლობელი სკ-ის იმავე მუხლის მეორე ნაწილის გაგებით.

მხოლოდ მე-(2) შემთხვევაში შეიძლება იყოს საუბარი დაკარგვაზე.

გადამწყვეტია, სახეზეა თუ არა სოციალური დაქვემდებარებული ურთიერთობა („დ“-ს „კ“-ს მიმართ), ვინაიდან ამ შემთხვევაში „დ“ იქნებოდა სხვა პირის სასარგებლოდ ნივთის ფაქტობრივი მფლობელი. თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით მხარეს არაფერი განუცხადებია. შესაბამისად, „დ“ არ მიიჩნევა ნივთის სხვა პირის სასარგებლოდ მფლობელად. აღნიშნულიდან გამომდინარე, „დ“ იყო უშუალო მფლობელი, რის შედეგადაც სახეზეა შემთხვევა (1), რაც გამოირიცხავს ნივთის დაკარგვას.

შუალედური შედეგი:

„ბ“-ს შესაგებელი ფლობის უფლებასთან დაკავშირებით (დასაბუთებულად) არის წარმოდგენილი და შესაბამისად, არსებითია.

4. „კ“-ს განმარტებების არსებითობა „ბ“-ს ფლობის უფლებასთან დაკავშირებით:

„კ“-ს განმარტებების მიხედვით, სესხი უკვე დაბრუნებულია და შესაბამისად, აღარ არსებობს გირავნობის უფლებაც (აქცესორულობა – სკ-ის 271-ე მუხლი). ამრიგად, „კ“-ს განცხადება არსებითია ფლობის უფლების კუთხით, ვინაიდან სესხის გასტუმრება მართლაც გამოიწვევდა გირავნობის და შესაბამისად, იმავდროულად „ბ“-ს მიერ ბეჭდის ფლობის უფლების გაუქმებას.

შუალედური შედეგი:

„კ“-ს განმარტებები სესხის დაბრუნებასთან დაკავშირებით არსებითია „ბ“-ს მიერ ბეჭდის ფლობის უფლების კუთხით.

5. მტკიცების სტადია:

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, დამტკიცებას საჭიროებს შემდეგი გარემოებები (მხარეთა მითითებები):

(1) „კ“-ს განცხადება, რომ იგია ბეჭდის მესაკუთრე.

(2) „ბ“-ს განცხადება, რომ „კ“-მ 2009 წელს ბეჭედი აჩუქა თავის პარტნიორ ქალბატონს.

(3) „კ“-ს განცხადება, რომ უკვე გასტუმრებულია სესხი („ბ“-ს მიერ „დ“-ს მიმართ).

(1)-თან დაკავშირებით:

„კ“-ს ეკისრება სადავო ფაქტის, კერძოდ ბეჭედზე საკუთრების მტკიცების ტვირთი.

თუმცა, აქ „კ“-ს ეხმარება სკ-ის 158-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საკუთრების პრეზუმფცია. აღნიშნულის შედეგად, მან უნდა ამტკიცოს მხოლოდ, რომ არის ბეჭდის თავდაპირველი მფლობელი, რაც არ არის სადავო. ამრიგად, მისი თავდაპირველი მფლობელობა პრეზუმფციიდან გამომდინარე მეტყველებს მის მესაკუთრეობაზე.

მაშასადამე, „ბ“-მ უნდა გააქარწყლოს ზემოხსენებული ვარაუდი (პრეზუმფცია), რაც მას არ შეუძლია. შესაბამისად საკითხი რჩება უცვლელი.

შუალედური შედეგი:

„კ“ მოიპრება ბეჭდის მესაკუთრედ.

(2)-სთან დაკავშირებით:

ბეჭდის გაჩუქება უნდა ამტკიცოს „ბ“-მ, ვინაიდან აღნიშნული მისთვის ხელსაყრელ გარემოებას წარმოადგენს. თუმცა, „ბ“-ს ამასთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება.

შუალედური შედეგი: „კ“ მოიპრება ბეჭდის მესაკუთრედ.

(3)-სთან დაკავშირებით:

ვინაიდან სესხის დაბრუნება არის „კ“-სთვის ხელსაყრელი ფაქტობრივი გარემოება, ამის მტკიცება მასვე ეკისრება. თუმცა, „კ“-ს არ წარმოუდგენია აღნიშნულთან დაკავშირებით არანაირი მტკიცებულება.

შუალედური შედეგი: მოცემულად მიიჩნევა „დ“-სა და „ბ“-ს შორის ნამდვილი სასესხო ხელშეკრულების და აქედან გამომდინარე ბეჭედზე „ბ“-ს გირავნობის უფლების არსებობა.

6. საბოლოო დასკვნა:

„კ“-ს სარჩელს „ბ“-ს წინააღმდეგ ბეჭდის დაბრუნების მოთხოვნით არ აქვს წარმატების პერსპექტივა, ვინაიდან „ბ“-ს „დ“-სგან მათ შორის არსებული სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე მინიჭებული ჰქონდა ბეჭედზე გირავნობის უფლება.

კაზუსი N 11.1 (ჩაშლილი შვებულება)

„ა“ „Batumi Travel“-თან (ბ) დაჯავშნის მოგზაურობის კომბინირებულ პაკეტს 4.500 ლარად. მომსახურებაში (პაკეტში) შედის: ფრენა (თბილისი-ბათუმი-თბილისი, აეროპორტიდან ტრანსპორტირებით – ღირებულება 300 ლარი) ასევე 14 ღამისთევა სრული მომსახურებით (სამჯერადი კვებით) სასტუმრო „Batumi Beach“-ში (01.08-დან 15.08.2012, ღირებულება: 14 x 300 ლარი).

„ა“ „შეუდგება“ შვებულებას. ერთი კვირის შემდეგ, 8 აგვისტოს დილას, მას სასტუმროს ფოიეში სველ იატაკზე უცურდება ფეხი და ეცემა. სასტუმროს დამლაგებელს თურმე დავიწყებია იატაკის გამშრალება. დაცემისას „ა“ მოიტეხს მარჯვენა ხელს. მას აღმოუჩინენ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, რის შემდეგაც იგი ატყობინებს სასტუმროს ადმინისტრაციას, რომ დაუყოვნებლივ მიემგზავრება უკან ხელის მოტეხვის გამო. ის 8 აგვისტოს მოფრინავს თბილისში და 2013 წლის 14 აპრილს აღძრავს სარჩელს „ბ“-ს წინააღმდეგ, რომლითაც ითხოვს:

- 2.400 ლარის დაბრუნებას (4.500 ლარს გამოკლებული პირველი კვირის სასტუმროს ხარჯი (2.100 ლარი) და ასევე
- კომპენსაციას 1.000 ლარის ოდენობით გაცდენილი შვებულებისთვის.

„ბ“ ეწინააღმდეგება სასარჩელო მოთხოვნებს. იგი აცხადებს, რომ პასუხს არ აგებს სასტუმროს თანამშრომლის, კერძოდ, დამლაგებლის ქმედებისთვის. „ა“-მ არ გამოიჩინა ყურადღება და სიფრთხილე. მას წესიერად რომ გაეხედა, სადაც მიდიოდა, აუცილებლად დაინახავდა სველ იატაკს, რომელიც აშკარად ადვილი შესამჩნევი იყო. გარდა ამისა, „ა“-მ თვითნებურად დატოვა იქაურობა და გამოემგზავრა უკან ისე, რომ არ შეუტყობინებია მისთვის. „ბ“ უთითებს მასსა და „ა“-ს შორის დადებულ მოგზაურობის ხელშეკრულებაზე, სადაც შეთანხმდნენ შემდეგზე:

...

პუნქტი. 13.2.2

პასუხისმგებლობა შეზღუდულია 2.000 ლარით თითო ტურზე და თითო მონაწილეზე.

პუნქტი. 14.1.1

იმ შემთხვევაში, თუ მგზავრი დაუყოვნებლივ არ შეატყობინებს ორგანიზატორს, კერძოდ, „ბ“-ს ხარვეზის შესახებ, გამოირიცხება ანაზღაურების ყოველგვარი მოთხოვნები.

აქვს თუ არა „ა“-ს სარჩელს „ბ“-ს წინააღმდეგ წარმატების პერსპექტივა?

ამოხსნა:

თანხის გადახდის ან კომპენსაციის მოთხოვნის უფლება შეიძლება გამომდინარეობდეს სკ-ის ნ62-მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებიდან.

1. გამართულობა/დასაბუთებულობა (მოსარჩელის სტადია)

სკ-ის ნ62-ე მუხლის წინაპირობები:

- 0 მოგზაურობის ნამდვილი ხელშეკრულება
- 0 მოგზაურობასთან დაკავშირებული ხარვეზები
- 0 ხარვეზი, რომელზეც ტურისტული სააგენტოა პასუხისმგებელი

„ა“-ს დაშვება გამოიწვია იმან, რომ დამლაგებელმა სასტუმროს ფოიეს მოწმენდის შედეგად დასველებული იატაკი დროულად არ გაამშრალა, რომელზეც „ა“-ს ფეხი აუცურდა.

გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით უნდა მივიჩნიოთ, რომ დაჯავშნული სამოგზაურო პაკეტი (ფრენა, ტრანსპორტირება, სასტუმროში განთავსება) მოიცავს სასტუმროს სრულ მომსახურებას, ანუ, ასევე სასტუმროს კორიდორების, სასტუმროში არსებული დანარჩენი (სავალი ნაწილის) სრულ უსაფრთხო მდგომარეობას. თუმცა ეს იქნებოდა ძალზედ ფართო განმარტება.

ყოველ შემთხვევაში, უკვე დასაბუთებულობიდან გამომდინარე (წარმოსადგენი ხარვეზი) არ არის თვალსაჩინო, თუ რამდენად იკვეთება აქ ტურისტული სააგენტოს ბრალეულობა, რადგან შესაძლოა ტურისტულ სააგენტოს ევალუბოდეს პერიოდულობით სასტუმროში დარჩენასთან დაკავშირებული ცენტრალური გარემოებების შემოწმება (შენობის უსაფრთხოება და ა.შ.). თუმცა, ტურისტული სააგენტოს მოვალეობაში არ შეიძლება შედიოდეს სასტუმროში არსებული ყოველდღიური სამუშაო პროცესების (დასუფთავება, მომსახურება, კვება და ა.შ.) კონტროლი.

2. დასკვნა

აქედან გამომდინარე, სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ისევე როგორც სარჩელი კომპენსაციის მოთხოვნით სკ-ის ნ62-ე მუხლის მიხედვით მოსარჩელის სტადიაზევე დაუსაბუთებლად მიიჩნევა.

საყურადღებოა: მობასუხის მტკიცებას – მაგ. თანაბრალეულობა – აღარ გააჩნია სამართლებრივი ძალა.

კაზუსი N 11.2 (ვარიაცია)

„ა“ „Batumi Travel“-თან (ბ) დაჯავშნის მოგზაურობის კომბინირებულ პაკეტს 4.500 ლარად. მომსახურებაში (პაკეტში) შედის: ფრენა (თბილისი-ბათუმი-თბილისი, აეროპორტიდან ტრანსპორტირებით – ღირებულება 300 ლარი) ასევე 14 ღამისთევა სრული მომსახურებით (სამჯერადი კვებით) სასტუმრო „Batumi Beach“-ში (01.08-დან 15.08.2012, ღირებულება: 14 x 300 ლარი).

„ა“ „შეუდგება“ შვებულებას. აეროპორტიდან სასტუმროში მიმავალი „ა“ და-ბიანდება (მოიტეხს ხელს) მთვრალი ავტობუსის მძღოლი „დ“-ს მიერ (რომელიც „ბ“-ს თანამშრომელია) გამოწვეული ავარიის შედეგად. „ა“ ინფორმაციას აწვდის „ბ“-ს და მკურნალობის შემდეგ, პირველ აგვისტოს, დაუყოვნებლივ ბრუნდება უკან.

დაბრუნების შემდეგ 20.08.2012 „ა“ ითხოვს „ბ“-სგან 5200 ლარის ანაზღაურებას და 01.04.2013 შეიტანს სარჩელს „ბ“-ს წინააღმდეგ, რომლითაც ითხოვს:

- 4.500 ლარის დაბრუნებას და ასევე
- კომპენსაციას 700 ლარის (14 x 50 ლარი) ოდენობით გაცდენილი შვებულების ხალისისა და დროისთვის.

„ბ“ ეწინააღმდეგება სასარჩელო მოთხოვნებს. იგი აცხადებს, რომ პასუხს არ აგებს, რადგან მისი ავტობუსის მძღოლი „დ“ აქამდე (ბოლო 10 წლის მანძილზე) ყოველთვის სანდო და დასაყრდენი თანამშრომელი იყო და ასევე – მუდამ ფხიზელი მოდიოდა სამსახურში. არც „ბ“-ს და არც არავის მის გარშემო არ სმენიათ აქამდე „დ“-ს პრობლემების შესახებ ალკოჰოლთან დაკავშირებით. პირიქით, იგი აქამდე ყველასათვის ცნობილი იყო, როგორც სანიმუშო თანამშრომელი. გარდა ამისა, „ა“ სრულიად უმიზეზოდ დაბრუნდა თბილისში; მას არ მოუთხოვია სათანადო დახმარება. „ა“-ს მოტეხილი ხელითაც თავისუფლად შეეძლო 15 აგვისტომდე ბათუმში დარჩენა და დასვენება. ყოველ შემთხვევაში, მას 300 ლარი მაინც უნდა გამოეკლო თავისი მოთხოვნისათვის, რადგან შესრულებული მომსახურების სახით მიიღო ფრენა თბილისი-ბათუმი-თბილისი. „ბ“ უთითებს მასსა და „ა“-ს შორის დადებულ მოგზაურობის ხელშეკრულებაზე, სადაც შეთანხმდნენ შემდეგზე:

...

პუნქტი. 13.2.2

პასუხისმგებლობა შეზღუდულია 2.000 ლარით თითო ტურზე და თითო მონაწილეზე.

პუნქტი. 14.1.1

იმ შემთხვევაში, თუ მგზავრი დაუყოვნებლივ არ შეატყობინებს ორგანიზატორს, კერძოდ, „ბ“-ს ხარვეზის (ნაკლის) შესახებ, გამოირიცხება ანაზღაურების ყოველგვარი მოთხოვნები. ნაკლის შეტყობინების შემდეგ ორგანიზატორმა სამი დღის ვადაში უნდა აღმოეხვრას იგი. მოთხოვნილ კომპენსაციასთან დაკავშირებით კი მო-

სარჩელს მხრიდან დაუზუსტებელია შესაბამისი გარემოებები. მაგალითად, საიდან მოიტანა მან ერთ დღეზე 50 ლარის გათვალისწინება?

აქვს თუ არა „ა“-ს სარჩელს „ბ“-ს წინააღმდეგ სრულად ან ნაწილობრივ წარმატების პერსპექტივა?

ამოხსნა:

4500 ლარის გადახდის მოთხოვნის უფლება შეიძლება გამომდინარეობდეს სკ-ის 662-ე მუხლის პირველი ნაწილიდან.

1. გამართულობა/დასაბუთებულობა (მოსარჩელის სტადია)

ა) ზიანის ანაზღაურება 4500 ლარი

(1) 662-ე მუხლის პირველი ნაწილის წინაპირობაა

- მოგზაურობის ხელშეკრულების არსებობა და
- ხარვეზი, რომელზეც ტურისტული სააგენტო პასუხისმგებელი

მოსარჩელის მითითების მიხედვით, აღნიშნული წინაპირობები სახეგია. ვინაიდან ტურისტული სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ მოვალეობას წარმოადგენდა „ა“-ს უზენებლად მიყვანა ბათუმის აეროპორტიდან სასტუმრო „Batumi Beach“-ში. ეს „ბ“-მ, რომელსაც მგზავრების გადაყვანისას დახმარებას „დ“ უწევდა, ვერ შეასრულა.

მოსარჩელის ახსნა-განმარტების მიხედვით, ასევე სახეგია ბრალეულობის დამადასტურებელი საკმარისი გარემოებები. ირკვევა, რომ ავტობუსის მძღოლი/თანამშრომელი „დ“ ავტოსაგზაო შემთხვევისას ალკოჰოლის ძლიერი ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

„ა“-მ აგრეთვე შესაბამისი შეტყობინება გაუგზავნა ტურისტულ სააგენტოს და დაბრუნების შემდეგ ერთი თვის განმავლობაში განახორციელა თავისი მოთხოვნა (სკ-ის 663-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ოდენობა: 14 x 300 ლარი პლუს 300 ლარი (ფრენა, ტრანსპორტირება)

- ამ ოდენობის ზიანის არსებობა დასაბუთებულად არის წარმოდგენილი

(2) დასკვნა

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება დასაბუთებულად არის წარმოდგენილი.

ბ) კომპენსაცია 700 ლარი

(1) სკ-ის 662-ე მუხლის მე-2 ნაწილი – წინაპირობები:

- ხარვეზი, რომელზეც ტურისტული სააგენტო პასუხისმგებელი (იხილეთ მე-2 მთ)

- ზიანის ანაზღაურებასთან ერთად მგზავრს ასევე შეუძლია მოითხოვოს კომპენსაცია.
ამისათვის განსაკუთრებული ახსნა-განმარტება არ არის სავალდებულო. შვებულების გაცდენას უკავშირდება, როგორც წესი, „არამატერიალური ზიანი“ (გაცდენილი დასვენება...).
- ის, რომ შვებულების „ჩაშხამება“ დღეში სულ მცირე 50 ლარად ფასობს, დამატებითი ახსნა-განმარტების გარეშეც ლოგიკურია.
- აღნიშნულს ექნებოდა სხვა შეფასება, თუ მოსარჩელე განსაკუთრებით დიდი ოდენობის კომპენსაციას მოითხოვდა (მაგ. 200 ან 500 ლარს დღეში).

(2) დასკვნა

კომპენსაციის მოთხოვნის უფლება ითვლება საკმარისად დასაბუთებულად.

2. მოპასუხის შესაგებლის არსებითობა (მოპასუხის სტადია)

ა) სკ-ის 662-ე მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებაში (ზიანის ანაზღაურება)

- ბრალეულობის უარყოფა / „დ“ აქამდე ყოველთვის სანდო იყო.

თუ „ბ“ ამბობს, რომ ის არ აგებს პასუხს, რადგან „დ“ აქამდე ყოველთვის სანდო იყო მუშაობისას, ეს სამართლის პრინციპების გათვალისწინებით ვერ ჩაითვლება არსებითად. რადგან „ბ“ პასუხისმგებელია მის არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ავტობუსის მძღოლის მიერ ავტობუსის ჯეროვან მართვაზე და შესაბამისად, ამის შედეგად გამოწვეულ ავტოსაგზაო შემთხვევაზე – გამართლების შესაძლებლობის არსებობის გარეშეც (აქამდე „დ“-ს სანდოობის გამო).

- ყოველგვარი საფუძვლის გარეშე უკან გამგზავრება, თვითმფრინავით მგზავრობა (სულ მცირე 300 ლარის გამოკლება)

„ა“ არ გამგზავრებულა უკან უსაფუძვლოდ, დაზიანებულ მდგომარეობაში მყოფმა „ა“-მ შეწყვიტა შვებულება; მისი მხრიდან წარმოუდგენელი იქნებოდა მოტეხილი მკლავით კიდევ 14 დღის განმავლობაში ბათუმში დარჩენა. შვებულების გაგრძელება მისთვის აზრსმოკლებული იქნებოდა.

აზრობრივად ანალოგიურია თვითმფრინავით მგზავრობასთან დაკავშირებითაც. მართალია „ა“ თბილისიდან ბათუმში და შემდეგ უკან გაფრინდა, მაგრამ რადგანაც მან ვერ გაატარა შვებულება ჯანსაღ მდგომარეობაში, ეს ფრენა მისთვის დამორგუნველი იყო.

(მისაღებია სხვა მოსაზრებაც)

- გარიგების პირობები (შეზღუდვა / შეუტყობინებლობა)

ქვეპუნქტი 13.2.2

ნამდვილია თუ არა პასუხისმგებლობის 2000 ლარით შეზღუდვა? სკ-ის 664-ე მუხლი მართალია უშვებს მსგავს შეზღუდვას, თუმცა მხოლოდ მგზავრობის ღირებულების სამმაგ ოდენობამდე პასუხისმგებლობის (3 x 4.500 ლარი) უზრუნველყოფის პირობით.

- 2000 ლარით შეზღუდვა ბათილია

გარდა ამისა, ცალსახაა: უხეში გაუფრთხილებლობით წარმოშობილი ზიანის მიყენების შემთხვევაში პასუხისმგებლობისგან ან ვალდებულებისგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლება ისედაც შეუძლებელი იქნებოდა.

ქვეპუნქტი 14.1.1

სკ-ის 662-ე მუხლი უთითებს სკ-ის 660-ე მუხლზე (ღირებულების შემცირება) და 661-ე მუხლზე (ხელშეკრულების შეწყვეტა).

ძირითადად ტურისტმა უნდა აცნობოს მოგზაურობის ორგანიზატორს ხარვეზის შესახებ. ამის მიზანია, რომ ორგანიზატორს მიეცეს ხარვეზის აღმოფხვრის საშუალება. შესაბამისად ვადის განსაზღვრა აუცილებელი არ არის (სკ-ის 661-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება) თუ გამოსწორება შეუძლებელია ან აღარ არის შესაძლებელი. წინამდებარე შემთხვევაში სწორედ ასე დგას საკითხი.

ის, რომ „ა“-მ ავტობუსით მგზავრობისას ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მკლავი მოიტეხა და მისი მხრიდან შვებულების აზრიანად გატარება შეუძლებელია, (ყოველ შემთხვევაში 01.08-დან 15.08.12-მდე) ეს ფაქტია. „ა“-სთვის შვებულებამ აზრი დაკარგა. ამიტომ „ა“-ს შეუძლია ყოველგვარი წინასწარი ვადების დაწესების გარეშე მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. სკ-ის 661-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების დანაწესს მოგზაურობის ორგანიზატორი ვერ აუვლის გვერდს მის პირობებში „ა“-ს ხარჯზე; სწორედ ეს გამომდინარეობს სკ-ის 663-ე მუხლიდან.

საყურადღებოა:

„ბ“-ს შეეძლო წარმოედგინა მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი არსებითი შესაგებელი, უფრო ზუსტად შესაგებელი ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებით – სკ-ის 663-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

„ა“-ს, თავის მხრივ, მოგზაურობის დასრულებიდან ექვსი თვის განმავლობაში (მაშასადამე 15.02.14-მდე) აუცილებლად უნდა განეხორციელებინა მოთხოვნის უფლება.

მან ეს არ გააკეთა.

სასამართლოს არ აქვს უფლება ავტომატურად გაითვალისწინოს ეს შესაგებელი.

ბ) სკ-ის 662-ე მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით (შვებულების უსარგებლოდ დაკარგვის კომპენსაცია 700 ლარი)

- თუ „ბ“ ამბობს, რომ ახსნა-განმარტება არ არის საკმარისად მკაფიო, ეს არ არის არსებითი.

რადგან „ა“-ს შეუძლია 14-დღიან შვებულებასთან დაკავშირებული იმედგაცრუების სანაცვლოდ სამართლიანი კომპენსაციის მოთხოვნა. „ა“ კმაყოფილდება საკმაოდ დაბალი ოდენობის კომპენსაციით.

ის რომ „ა“-ს სულ მცირე 50 ლარის მოთხოვნა შეუძლია ყოველი გაცდენილი შვებულების დღისთვის – ლოგიკურია ზედმეტი განმარტების გარეშე.

(მისაღებია სხვა მოსაზრებაც)

3. დასკვნა

„ა“-ს სასარჩელო მოთხოვნა 5200 ლარის ოდენობით წარმატებული იქნება. მოთხოვნა დასაბუთებულია, სკ-ის 662-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მიხედვით. მოპასუხე მხარეს არ წარმოუდგენია არსებითი შესაგებელი.

კაზუსი N 12 (სადავო პიანინო):

2013 წლის აგვისტოში „კ“ სარჩელს აღძრავს „ბ“-ს წინააღმდეგ, რომელიც მისი ყოფილი მეგობარი ქალბატონია. ის ითხოვს პიანინოს დაბრუნებას.

„კ“ სარჩელში მიუთითებს, რომ მან 2005 წელს შეიძინა ინსტრუმენტი და თვითონვე გადაიხადა მისი ფასი. პიანინო განთავსდა მისსავე ბინაში. მოგვიანებით, კერძოდ, 2008-2011 წლებში, როდესაც „ბ“ მასთან ცხოვრობდა, „კ“-მ მისცა მას ინსტრუმენტით სარგებლობის უფლება. ამასთან, მან „ბ“-ს კატეგორიულად აუკრძალა პიანინოს სახლიდან გატანა. მიუხედავად ამისა, „ბ“-მ „კ“-ს ბინიდან გადასვლისას თან წაიღო მისი ინსტრუმენტი.

„ბ“ სარჩელს შემდეგნაირად პასუხობს: „კ“ თავის სარჩელში არ არის მართალი. მან 2012 წლის 28 დეკემბერს „კ“-სგან პიანინო საჩუქრად მიიღო, თანაც ყოველგვარი პირობისა და შეზღუდვების გარეშე. მაშინ, როდესაც მან „კ“-მ ინსტრუმენტი, „ბ“-ს ახალ სახლში გადაატანინა, განუცხადა „ბ“-ს: „შენი იყოს, მე ისედაც აღარ ვუკრავ პიანინოზე“. ამ საუბარს „ბ“-ს ქალიშვილი ანაც („ა“) შეესწრო.

„კ“: სადავოს ხდის 2012 წლის 28 დეკემბერს მსგავსი განცხადების გაკეთების ფაქტს.

დაკმაყოფილდება თუ არა „კ“-ს სარჩელი პიანინოს გამოთხოვის თაობაზე?

ამოხსნა:

მოსარჩელე „კ“ თავისი ყოფილი პარტნიორი „ბ“-სგან ითხოვს პიანინოს დაბრუნებას. მოთხოვნა შესაძლოა გამომდინარეობდეს სკ-ის 172-ე მუხლიდან.

1. გამართულობა/დასაბუთებულობა (მოსარჩელის სტადია)

- მოსარჩელე აცხადებს, რომ მან შეიძინა პიანინო (მესაკუთრეა) და რომ „ბ“ მხოლოდ მფლობელია და ისიც არამართლზომიერი.
- აღნიშნული განმარტებები არსებითია სკ-ის 172-ე მუხლიდან გამომდინარე.

2. არსებითობა (მოპასუხის სტადია)

- „ბ“ აცხადებს, რომ 2012 წელს იგი გახდა პიანინოს მესაკუთრე.
- აღნიშნული განმარტება არსებითია, ვინაიდან სადავოს ხდის მოთხოვნის წარმომშობ ფაქტობრივ ელემენტს, კერძოდ, „კ“-ს მესაკუთრეობის საკითხს.

3. მტკიცებულებების აუცილებლობა?

განმსაზღვრელია დასაბუთებისა და მტკიცების ტვირთის გადანაწილება. ვინ უნდა ამტკიცოს სადავო საკითხი, კერძოდ, „კ“-ს მესაკუთრეობა – თვითონ „კ“-მ თუ „ბ“-მ?

მტკიცებულებების ამოღება ხდება მაშინ,

- თუ სახეზეა ფაქტი ან გარემოება, რომელიც არსებითია, სადავოა და საჭიროებს დამტკიცებას და
- თუ მტკიცებაზე ვალდებულმა მხარემ მიუთითა მტკიცებულებაზე.

ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის ფარგლებში (სკ-ის 172-ე მუხლის საფუძველზე) „კ“-მ უნდა დაამტკიცოს თავისი მესაკუთრეობა.

მართალია, 2005 წელს „კ“-ს მიერ საკუთრების შექმნა სადავო ნივთზე და ამით მისი თავდაპირველი მესაკუთრეობის საკითხი არ არის სადავო. თუმცა, „ბ“-ს შეუძლია მიუთითოს სკ-ის 158-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც (უშუალო) მფლობელი მოიაზრება მესაკუთრედ (პრეზუმფცია). უდავოა, რომ „ბ“-მ ჯერ კიდევ „კ“-ს სახლში ცხოვრებისას მოიპოვა მფლობელობა სადავო ნივთზე – პიანინოზე. „ბ“ ნივთის მფლობელია დღესაც, ანუ, სარჩელის აღძვრის მომენტშიც. პიანინო იმყოფება „ბ“-ს სახლში. ამრიგად, ისევ ძალაშია სკ-ის 158-ე მუხლის პირველი ნაწილი.

შუალედური შედეგი:

„კ“-მ უნდა ამტკიცოს კანონისმიერი პრეზუმფციის საწინააღმდეგო. მას ეკისრება მტკიცების ტვირთი. შესაბამისად, მასვე უნდა მიეთითებინა შესაბამის მტკიცებულებაზე, რაც არ მომხდარა.

„კ“-ს, როგორც მტკიცებაზე ვალდებული მხარის მიერ მტკიცებულების მიუთითებლობა წამგებიანია ისევე და ისევე მისთვის.

28 დეკემბრის სადავო განცხადებას აქ უკვე აღარ აქვს არსებითი მნიშვნელობა.

4. დასკვნა:

„კ“-ს სარჩელს „ბ“-ს წინააღმდეგ არ აქვს წარმატების პერსპექტივა. სარჩელი არ დაკმაყოფილდება უსაფუძვლობის გამო. ამასთან, არ განხორციელდება მტკიცებულებების შეგროვება-ამოღება, კერძოდ, „ბ“-ს ქალიშვილი ანას („ა“) მოწმის სტატუსით დაკითხვა.

კაზუსი N 13 (ოქროს საათი):

„კ“ სარჩელს აღძრავს „ბ“-ს წინააღმდეგ და ითხოვს 400 ლარის გადახდას.

ამასთან დაკავშირებით იგი უთითებს:

„მე 2013 წლის 4 იანვარს მოპასუხე „ბ“-ს – საათებისა და საიუველირო მაღაზიის მე-პატრონეს – შეკეთების მიზნით გადავეცი ჩემი ოქროს საათი (1000 ლარის ღირებულების). მაგრამ მოპასუხემ ნარდობის შესრულების, ანუ მისი შეკეთების ნაცვლად, საათი 2013 წლის 10 იანვარს 600 ლარად მიჰყიდა, როგორც ჩანს, კეთილსინდისიერ კლიენტს, რომლის ვინაობაც ვერ დგინდება. აღნიშნული თანხა, კერძოდ, 600 ლარი, მოპასუხემ ამინაზლაურა. თუმცა, იგი უარს ამბობს დაფაროს ასევე 400 ლარის სხვაობა.“

„ბ“ ეწინააღმდეგება მოთხოვნას. იგი აცხადებს:

„მე სადავოდ ვხდი იმ გარემოებას, რომ „კ“-მ საათი გადმომცა შეკეთების დავალებით. სინამდვილეში კი მან საათი მომიტანა საკომისიოში გასაყიდად. აღნიშნული დავალების შესრულების მიზნით ჯერ კიდევ შესაკეთებელი საათი გაიყიდა 600 ლარად, როგორც ამის შესახებ თვითონაც მართებულად განაცხადა. ამასთან, სიმარტივისთვის მე კლიენტს არ ვაგრძობინე, რომ არ ვარ ამ საათის მესაკუთრე. მყიდველის სახელს და გვარს ვერ ვადგენთ, რადგან ის პირველად იყო ჩემთან და არ არის ჩემი მუდმივი მომხმარებელი. მე არც კი ვიცნობ მას. მართალია, შეიძლება საათი შეკეთებამდეც კი იყო 1000 ლარის ღირებულების, მაგრამ გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები 600 ლარის ოდენობით ყველაფერია, რაც „კ“-ს ხელშეკრულებიდან ეკუთვნის. გარდა ამისა, „კ“-ს მოთხოვნა რამდენი ხანია ხანდაზმულია. მე ასევე თავს ვიზღვევ და ვქვითავ ჩემს მოთხოვნას „კ“-ს მიმართ 500 ლარზე, რომელიც წინა წელს წარმოიშვა. კერძოდ, მან ჩემგან გასული წლის 23 დეკემბერს იყიდა ყელსაბამი და ფული ჯერ კიდევ არ გადაუხდია.“

„კ“-ს პასუხი:

„მე მოგვიანებით შევიტყვე „ბ“-ს თანამშრომელი „ა“-სგან, რომ თვალყურს ადევნებდა ჩვენს საუბარს 4 იანვარს. მას შემდეგ, რაც მე ვიყავი „ბ“-სთან მაღაზიაში

და დავუტოვე ჩემი საათი, მან იგი დახლზე განათავსა, რაზეც „ა“-მ შეახსენა, რომ მე საათი მხოლოდ შესაკეთებლად მქონდა მიტანილი და არა გასაყიდად. ამაზე „ბ“-ს მკვახე რეაქცია ჰქონდა და თანამშრომელს უპასუხა, რომ ყველაფერი წესრიგშია და რომ რაღაც არასწორად გაიგო.

მტკიცებულება: თანამშრომელი „ა“-ს დაკითხვა მოწმის სახით.

„კ“ განაგრძობს:

„რომც არ იყოს სახეზე ნარდობის ხელშეკრულება, მოპასუხემ პასუხი უნდა აგოს დელიქტური ან უსაფუძვლო გამდიდრების სამართლიდან გამომდინარე.

„ბ“-ს მიერ მითითებულ გასაქვით მოთხოვნას მე სადავოდ ვხდი. მე მასთან ნამდვილად არ მიყიდა არანაირი ყელსაბამი. შესაძლოა მას ჩემს ტყუპის ცალ „ლ“-ში ვეშლები, რომელმაც გასულ წელს საშობაოდ ცოლს ყელსაბამი უსახსოვრა.“

სასამართლო განიხილავს საქმეს არსებითად და მსჯელობს ზემოთ წარმოდგენილ მოთხოვნებსა და შუამდგომლობებზე. მოწმე „ა“ დაიკითხება სასამართლო სხდომაზე. იგი აცხადებს:

„მე ჯერ კიდევ მახსოვს, რომ „კ“-მ ჩვენთან ოქროს საათი მოიტანა. მაგრამ ამდენი ხნის მერე ნამდვილად აღარ მახსოვს, რა ილაპარაკეს „კ“-მ და „ბ“-მ ერთმანეთში. მე ისედაც ნაწილობრივ მოვისმინე მათი საუბარი, რადგან სახელოსნოში დაბრუნება მომიხდა. ის კი მართალია, რომ ჩემს უფროსს გავძახე, როდესაც იგი საათს დახლზე დებდა, რომ ხომ არ შეცდა და არასწორად გაიგო „ბ“-ს ნათქვამი, რაზეც მან მხოლოდ მოკლედ მიპასუხა, რომ ჩემი საქმისათვის მიმეხედა სახელოსნოში“.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო ამ საქმეზე?

შემოწმეთ მოსარჩელის, მოპასუხის და ასევე მტკიცების სტადიები.

ამოხსნა:

საპროცესო მასალის დახარისხება

ნორმა/მოთხოვნის წინაპირობები სკ-ის 394-ე და 409-ე მუხლების მიხედვით	მოსარჩელის ახსნა-განმარტებები	მოპასუხის ახსნა-განმარტებები
<p>1. მოთხოვნის წარმოშობა? - ნამდვილი ხელშეკრულება</p> <p>- ნივთის დაბრუნების შეუძლებლობა</p>	<p>შეთანხმება შეკეთებაზე/ნარდობის ხელშეკრულება</p> <p>საათის დაბრუნება აღარ არის შესაძლებელი, ვინაიდან მესამე პირმა კეთილსინდისიერად შეიძინა საკუთრება</p>	<p>სადავოა არანაირი ნარდობა, არამედ გაყიდვის დავალება</p> <p>უდავოა</p>

<p>- „ბ“-ს ბრალეულობა</p> <p>- ზიანი</p>	<p>არაფერია მითითებული, თუმცა, კანონის მიხედვით არც არის სავალდებულო, ის. სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინ.</p> <p>ობიექტური ღირებულება 1.000 ლარი დარჩენილი თანხა 400 ლარის ოდენობით</p>	<p>არ არის სახეზე ბრალეულობა, ვინაიდან საათის გაყიდვაზე დავალების ხელშეკრულება ჯეროვნად შესრულდა</p> <p>უდავოა („... შეიძლება...“)</p>
<p>2. მოთხოვნის შეწყვეტა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა</p> <p>- შეტყობინება გაქვითვის შესახებ</p> <p>- გაქვითვის შესაძლებლობა</p> <p>- „ბ“-ს მოთხოვნა</p> <p>-მსგავსი მოთხოვნები</p>	<p>სადავოა</p>	<p>განხორციელდა პროცესის ფარგლებში</p> <p>მოთხოვნა ნასყიდობიდან 500 ლარის ოდენობით (ნასყიდობა ყელსაბამზე 23.12.12)</p> <p>სახეზეა, ორივე მოთხოვნა ფულადია</p>
<p>3. მოთხოვნის განხორციელება?</p> <p>- განხორციელებულია ხანდაზმულობის შესაგებელი</p> <p>- ხანდაზმულობის ვადა გასულია?</p>		<p>შესაგებელი განხორციელდა</p>
<p>მითითებები:</p> <p>სკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის წინაპირობები (ზიანის ანაზღაურება)</p>		
<p>1. მოთხოვნის წარმოშობა?</p> <p>- „ბ“-ს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება „კ“-ს მიმართ</p>	<p>- სახეზეა შეუსაბამობა (ნაკლი შეთანხმებისას) (თუ არ არის სახეზე ნარდობა)</p>	<p>სადავოა</p>

- ბრალეულობა	„ბ“-მ დაუფიქრებლად მიიჩნია მოცემულად სახეზე ხელშეკრულება – არ მიაქცია ყურადღება თანამშრომლის რეპლიკას, საათი კი საბოლოოდ გასხვისდა	სადავოა
- „კ“-ს ზიანი	დანაკარგი 1.000 ლარის ოდენობით – მიღებული თანხა – 600 ლარი = (დარჩა) 400 ლარი.	ღირებულება არ არის სადავო
2. და 3. იხ. ზემოთ		

1. სკ-ის 394-ე მუხლი – საათის შეკეთების თაობაზე დადებული ნარდობის ხელშეკრულების დარღვევისათვის

1. დასაბუთებულობა/გამართულობა (მოსარჩელის სტადია)

- „კ“ გამართულად მიუთითებს მოთხოვნის წინაპირობებზე (იხ. ზემოთ)
 - ხელშეკრულება,
 - საათის დაბრუნების შეუძლებლობა,
 - ზიანი

(გასათვალისწინებელია: სახელშეკრულებო ურთიერთობიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას „კ“ არ არის ვალდებული, რაიმე მიუთითოს ბრალეულობასთან დაკავშირებით, სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება!)

2. არსებობა (მოპასუხის სტადია)

- არსებითაა, ვინაიდან „ბ“ სადავოს ხდის მოთხოვნის წარმომშობ წინაპირობას („საათის გაყიდვაზე დავალების ხელშეკრულება ნარდობის ნაცვლად“)

3. მტკიცების სტადია

- „კ“-ს ეკისრება მტკიცების ტვირთი მოთხოვნის დამფუძნებელ ფაქტებთან და გარემოებებთან დაკავშირებით (შეკეთების ხელშეკრულება, ვალდებულების ობიექტური დარღვევა). შეძლო თუ არა „კ“-მ მოთხოვნის წარმომშობი წინაპირობების დამტკიცება?
- მოწმე „ა“-ს ჩვენების შეფასება
 „ა“-მ ვერ დაადასტურა, რომ „კ“-სა და „ბ“-ს შორის თავის დროზე დაიდო ნარდობის ხელშეკრულება საათის შეკეთების თაობაზე (მან მხოლოდ საუბრის ნაწილი მოისმინა და სხვა არც არაფერი ახსოვს).

4. დასკვნა:

სასამართლო ვერ დარწმუნდა იმაში, რომ „კ“-სა და „ბ“-ს შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება საათის შეკეთების თაობაზე. „კ“-მ ასევე ვერ დაამტკიცა სკ-ის 394-ე მუხლის წინაპირობების არსებობა. ბრალეულობის საკითხის განხილვას კი არანაირი არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება.

II. შეუსაბამობის (ნაკლი შეთანხმებისას) შემთხვევაში დამატებითი (მეორადი) მოთხოვნა სკ-ის 992-ე მუხლიდან გამომდინარე

1. დასაბუთებულობა/გამართულობა (მოსარჩელის სტადია)

- ხელშეკრულება არ არის სახეზე
- „ბ“-მ არასწორად ივარაუდა მასსა და „კ“-ს შორის საათის გაყიდვაზე დავალების ხელშეკრულების არსებობა/დადება და საათი მიჰყიდა მესამე კეთილსინდისიერ პირს
- აღნიშნული ქმედება არის გაუფრთხილებელი (= ბრალეულობა)
- მოსარჩელის ახსნა-განმარტებები არსებითია სკ-ის 992-ე მუხლის გათვალისწინებით

2. არსებობა (მოპასუხის სტადია)

- შესაგებელი არსებითია, ვინაიდან „ბ“ უთითებს საათის გაყიდვის მიზნით დადებულ შეთანხმებაზე, რითაც სადავოს ხდის საათის შეკეთების თაობაზე ნარდობის ხელშეკრულების არსებობას. „ბ“ აცხადებს, რომ მოქმედებდა საათის გაყიდვის მიზნით დადებული ხელშეკრულების ფარგლებში და შესაბამისად.

3. მტკიცების სტადია

- „კ“ უთითებს შეუსაბამობაზე (ნაკლი შეთანხმებისას), თუ ვერ დამტკიცდება საათის შეკეთების თაობაზე ნარდობის ხელშეკრულების დადება.
- ვინაიდან „ბ“ აცხადებს, რომ „კ“-მ მას მიმართა საათის გაყიდვის დავალებით, მანვე, ანუ „ბ“-მ უნდა დაამტკიცოს ეს გარემოება. ამისათვის კი მას შესაბამისი მტკიცებულება არ შემოუთავაზებია.
- „ბ“-ს მიერ ვალდებულების ბრალეულად დარღვევა.

ამ კუთხით განმსაზღვრელია, თუ როგორ შეაფასებს სასამართლო მოწმე „ა“-სა და მის ჩვენებას, რომლის თანახმადაც მან „ბ“-ს გასცხა და ჰკითხა, არასწორად ხომ არ გაიგო რამე (ანუ, კითხვა მდგომარეობს შემდეგში: შეკეთება თუ გაყიდვა?).

თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში „ბ“-ს მართებდა, კიდევ ერთხელ ეკითხა „კ“-სთვის და დაეზუსტებინა მისი ნება-სურვილი, მაშინ ლოგიკური იქნება დასკვნა, რომ „ბ“-მ საათის გაყიდვით დაარღვია ვალდებულება, ვინაიდან ამ

შემთხვევაში მის მიმართ გავრცელდებოდა მოლოდინი და მოვალეობა, რომ ეკითხა და გადაემოწმებინა „კ“-სთან ნამდვილად სურდა თუ არა მას საათის გაყიდვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მოწმე „ა“-ს ჩვენებით დამტკიცებულად მიიჩნევდა „ბ“-ს მიერ ვალდებულების გაუფრთხილებლად დარღვევის ფაქტს სკ-ის 992-ე მუხლის შესაბამისად.

(შენიშვნა: ბუნებრივია, აქ ასევე შეიძლება განვავითაროთ საპირისპირო მოსაზრება და მსჯელობა; რეალობაში აღნიშნული მართლაც დამოკიდებულია იმ უშუალო შთაბეჭდილებაზე, რომელსაც მოწმე მოახდენს სასამართლოში და მისი ჩვენების შესაბამის შეფასებაზე).

4. დასკვნა:

ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრებების თანახმად, „კ“-ს სარჩელი (დამატებითი/ მეორადი მოთხოვნის სახით სკ-ის 992-ე მუხლზე მითითებით) 400 ლარის ოდენობის მოთხოვნაზე დაკმაყოფილდება.

(დასაშვები და მისაღებია ასევე საპირისპირო შედეგიც).

